საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი, 25 ნოემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 15 მანეთი

გაზეთის ღირს თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ღირს 15 მანეთი განცხადების ფასი ბოლო გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ხელნაწერი განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 269 — ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. — № 269

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული.
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18. ტელ. 11—79

სახელმწიფო თეატრების დირექცია, მსახიობთა კავშირი და სახელმწიფო დრამის მსახიობნი ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას რომ 23 ნოემბერს ნაშუადღევს გარდაიცვალა მაღალნიჭიერი და დამსახურებული მსახიობი

ვლადიმერ სარდიონის ძე
ალექსი-მესხიშვილი

(ნ. 2—1)

მგლოვიარე ქართული დრამის რეჟისორთა კოლეგია აუწყებს საქართველოს მოქალაქეთ თავის უხუცესის მაღალ ნიჭიერის და დამსახურებულ წევრის

ვლადიმერ ალექსი მესხიშვილის

გარდაცვალებას. (ნ. 2—1)

ღრმად დამწუხრებულნი ნინო დიმიტრის ასული, ეკატერინე ალექსანდრეს ასული, შალვა და ვლადიმერ ვლადიმერის ძენი ალექსი-მესხიშვილნი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ 24 ნოემბერს, დილით მოულოდნელად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

ვლადიმერ სარდიონის ძე
ალექსი-მესხიშვილი.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. (3782—2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: დედა მარიამი, ძმები ტარასი და სერგო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 25 ნოემბერს ივანე მეტყველის ეკლესიაში (ვერაზე) გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას

კირილე ზაქარიას ძე ნიქაბაძის

სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდი საღ. 4 ს. (3778—1—)

ღრმად დამწუხრებული ამხანაგები: ბიქტორი, ვარდენი, გრიშა და შალვა აუწყებენ საზოგადოებას, ამხანაგებს ნაცნობებს და მეგობრებს ძვირფას ამხანაგის სტუდენტ

კონსტანტინე ანტონის ძე თევდორაძის

უდროოთ გარდაცვალებას. რომლის ცხედრის დასაფლავებაც მოხდება დღეს ქ. ქუთაისში. (3776—1—1)

მუხრანის სახელმწიფო მამულის მოურავი მოსამსახურენი და მუშები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ ამხანაგის

ნოე თომას ძე ჯუგლაძის

გარდაცვალებას, დაკრძალვა სოფელ ანაგაში 25 ნოემბერს მოხდება.

ღრმად დამწუხრებული მამა სტეფანე თათეოსის ძე დები: ნეონილა (ლოლა), თამარა, ალექსანდრა (საშა) სულაკაძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, გარდაცვალებას პირველი ძვირფასი შვილისა და დანარჩენნი ძვირფასი და დაუვიწყარი ძმის

დავით (დათიკო) სტეფანეს ძე სულაკაძის

გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს 25 ნოემბერს ნაშუადღევის 5 საათზე ანდრეევის ქ. № 81 სადგურზე. დაკრძალვა შაბათს ქალ. ქუთაისში. (3779—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე პელაგია, ვაჟი პეტრე მეუღლით, ქალები თამარა და ნინო მეუღლით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი

მიხეილ პეტრეს ძე სარაჯიშვილის

პანაშვიდი, დღეს ბინაზე ელისაბედის ქ. № 23, გამოსვენება და დაკრძალვა პარასკევს, 26 ნოემბერს. (3784—2—1)

ღრმად დამწუხრებულნი ძმები: სოლომონ, აპოლონ, თომა, ანდრია, ივანე, გიორგი, და ილია, და სოფიო მეუღლით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას

მიხეილ პეტრეს ძე სარაჯიშვილის

(3784—2—1)

მე-6 რაიონის მუშათა კლუბი

ბებუთოვის ქუჩა № 22.

ხუთშაბათს, 25 ნოემბერს

დიდი საღამო

წარმოდგენილი იქნება
ალ. ყაზბეგის პიესა
დილა ქორწილის შემდეგ
მონაწილეობენ: ქ-ნნი ქორქაშვილი, ავედაროვი, ტყემალაძისა, ბ-ნი გ. გორდაძე და სხვ.

შემდეგ დიდი
დივერტისმენტი
ქართველი პოეტების, მსახიობების და დეკლამატორების მონაწილეობით.
დასაწყისი 8 საათზე.
ბილეთები კასაში.
(1—1)

სახელოსნო კლუბი

ორშაბათობით	სინემატოგრაფი
სამშაბათობით	სინემატოგრაფი
ოთხშაბათობით	სპექტაკლი
ხუთშაბათობით	ლექცია
პარასკეობით	კონცერტი
შაბათობით	სპექტაკლი
კვირაობით	სპექტაკლი

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათ. სამკითხველო ღიაა ყოველ დღე საღამოს 7—10 საათ. (3781—1—1)

იბეჭდება და ამ დღეებში გასაყიდათ გამოვა
კარლ კაუცკის ახალი წიგნი
სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები
საქართველოში
თარგმანი გერმანულ ხელნაწერიდან
გამოცემა ს. ს.-დ. მ. პ. ცენტ. კომიტეტისა.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტ.—რუსთ. პრ. № 21, ტელ. 8—07)

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

ხუთშაბათს, ნოემბრის 25-ს
ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის საღამო
1. დარისპანის გასაჭირი 2. ირინეს ბედნიერება
რეჟისორი აკაკი ფალავა.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შაბათს, ნოემბრის 28-ს
პირველად
ზღვასთან
ენგელისა.

შაბათს, დეკემბრის 4-ს
პირველად ქართული ორიგინალური ტრაგედია
ბერდო-ზმანია
ახალი დეკორაციებით, ტანისამოსით
ბილეთები კასაში.
(ნ. 1—1)

ბათომი და რუსეთი

ბათომი საქართველოს თვალია, რევოლუციური მოძრაობის პირველ დღიდან იგი აკვანი იყო საქართველოს სოც.-დემოკრატიის თფილისთან ერთად. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან იგი მუდამ შეადგენდა საქართველოს დემოკრატიის საზრუნავ საგანს.

არავის წინააღმდეგ ბრძოლას არ დარიდებია საქართველო, რამდენადაც კი ძალა შესწევდა, რომ ჯერ ოსმალეთის და შემდეგ ევროპის ოკუპანტების ხელიდან გაეთავისუფლებია ეს უმთავრესი ბოლოზე საქართველოსი. დღეს კი იმავე ბათომის გარშემო ჩვენ ვხედავთ ახალ კომბინაციებს. საბჭოთა რუსეთს ისეთი ნერვიულობა არ გამოუჩენია ბათომის მიმართ მაშინ, როდესაც იყო უცხოელების ხელში, როგორსაც იჩენს დღეს.

ბათომში იყო თურქები, თვით ბოლშევიკების ლოცვა-კურთხევით, საბჭოთა აგენტები აქ გაიძახოდენ, არ გაბედოს საქართველომ მისი ხელის ხლებაო. მოვიდა ანტანტის ჯარები და იგივე ბოლშევიკები თურქებთან ერთად ეწეოდენ ბათომში აგიტაციას ჩვენს წინააღმდეგ.

მაშინ ისინი ცდილობდენ მხოლოდ ერთს,—ბათომი საქართველოს არ შეერთებოდა, და ამ მიზნით მზათ იყვენ მხარი დაეჭირათ ანტანტის ბატონობისათვის, თურქების შემოსვლისათვის და თუნდა აჭარისტანის დამოუკიდებლობისთვის.

მართალია დრო გამოშვებით ანტანტის გენერლებთანაც უხდებოდათ კომუნისტური კონფლიქტები, და რეპრესიების მსხვერპლიც ხდებოდენ მათგან, მაგრამ ეს იყო შედეგი უმეტესათ, ინგლისის პოლიტიკურ ცვალებადობისა, რომელიც ჩვენში საარაკოთ არის დარჩენილი. ამით აიხსნება, რომ ერთი-ორჯერ კომუნისტების ბათომელ ლიდერებმა სტამბოლშიაც კი ამოყვეს თავი.

ამას, რასაკვირველია, ჰქონდა ადგილი მაშინ, როცა ოკუპანტები სხვა რომელიმე კომბინაციას დაადგებოდენ და არა ბოლშევიკების გამოყენებას, ან რაიმე მიზეზის გამო საქართველოსთან, ან თვით აქაურ ჩვენს მომხრეებთან მოისურვებდენ დაახლოვებას.

ბოლშევიკებს აძლევდენ, ასე ვთქვათ ბათომის ნაცვლად. მაგრამ ბოლშევიკების ასე დატუქსვა მათგან ოდნავათაც არ წარმოადგენდა ჩვენს ინტერესებს. ჩვენ ვიცოდით, რომ იგივე ძალები, რომელნიც კომუნისტებს მიამგზავრებდენ სტამბოლისაკენ, ხვალ ჩვენს ჯარებს გადაუდგებიან წინ ქობულეთის და ხულოს გზაზე.

ამ რთულ ბრძოლაში მრავალ ძალებთან და ხელოვნურათ მოჰახრაკებულ კომბინაციებთან ბოლოს და ბოლოს გამარჯვებული დარჩა საქართველო.

მან მიიღო ის, რაც ეკუთვნოდა, ბათომი და მისი ოლქი. მიიღო იგი რუსეთის ხელშეკრულებით, ჩაიბარა 7 ივლისის აქტით, და განა ამის შემდეგ წარმოსადგენია, რომ ბათომი რომელსამე ძალას დაეთმოს ჩვენთვის გარეშე ინტერესების სასარგებლოთ?

განა შესაძლებელია, ბათომი ვისმეს ხელში სათამაშო იარაღათ გადაიქცეს?

რასაკვირველია არა.

განსაკუთრებით შეუძლებელია საქართველოს დემოკრატიამ მოითმინოს ბათომის გადაქცევა ინტერვენციის ბაზათ.

რუსეთის საქმეებში უცხო ძალის ჩარევას პრინციპიალურათ ვერ ეგუება ჩვენი პოლიტიკა და მსოფლ მხედველობა. ხოლო მით უმეტეს ვერ შეეგუება იგი ჩვენს ტერიტორიის ამ მიზნით გამოყენებას.

საბჭოთა დიპლომატიის ნერვიულობა ჩვენ გვესმის; მაგრამ როცა იგი საქართველოს და მისი სოციალისტური სტუმრების წინააღმდეგ ილაშქრებს, ეს ჩვენს წინაშე უკვე სულ სხვა სურათს შლის. ეს არის უკვე აგიტაცია და მტრული განწყობილების გამომჟღავნება არა ბურჟუაზიული ევროპის არამედ სოციალისტური საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ.

ჩვენ თამამათ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ არც ანტანტას არც სხვა ძალას არასოდეს არ უსარგებლია საქართველოთი რუსეთის შინაურ საქმეებში ჩასარევათ. ჩვენ ვიცავდით ჩაურევლობის პოლიტიკას და მას მივდევთ დღესაც.

თუ კომუნისტურ მოსკოვს სხვა რაიმე განზრახვები არ ასულდგმულებს, თუ მას არ სურს აქ აზერბეიჯანის და სომხეთის ისტორიის განმეორება, ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, მან ამ თავითვე ხელი უნდა აიღოს ამ გამწვავებულ აგიტაციაზე და მართლა ნერვიულ ნოტების წერაზე, რომელნიც ლახავენ ჩვენს დამოუკიდებლობას და სუვერენულ უფლებებს.

საქართველოს საგარეო სამინისტრომ ჩვენის აზრით, სათანადო პასუხი გასცა ამ მხრივ საბჭოთა დიპლომატებს. და ამის შემდეგ უნდა შეწყდეს კომუნისტების აგიტაცია ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ, თუ საბჭოთა რუსეთს მართლა მხოლოდ ინტერვენციის თავიდან აცილება ალაპარაკებს და არა აზერბეიჯანული მისწრაფებანი.

და თუ არ მოსპობს ამ გამოლაშქრებას, ისიც უნდა იცოდეს, რომ საქართველომ თავისუფლება იმისთვის კი არ მოიპოვა, რომ პირველ საფრთხის გაჩენისთანავე გასწიროს იგი.

საქართველოს დემოკრატია მთელი თავის ძალ-ღონით დაიცავს თავის დამოუკიდებელ არსებობას და თვითგანკითხების პირობებს საიდანაც უნდა მოელოდეს მას საფრთხე, მტერთან-მტრულათ, მოყვარესთან მეგობრულათ. ასეთია ჩვენი ლოზუნგი.

პოლემიკური წერილები

XI

რევოლიუციონური და რეაქციონური დიქტატურა.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ „ახ. კომუნისტმა“ ისევ მოიხმო მარქს-ენგელსის სახელი თავისი კუზიანი ხერხემლის გასასწორებლათ. ერთი მისი თანამშრომელი ერთ ერთ უკანასკნელ ნომერში სწერს: „მენშევიკები წინააღმდეგი არიან როგორც ბურჟუაზიის დიქტატურის უმრავლესობაზე, ისე პროლეტარიატის დიქტატურისაც უმრავლესობის სასარგებლოთ: მათ არ სწამთ არავითარი კლასიური დიქტატურა, იქნება ის მემარჯვენე თუ მემარცხენე სულ ერთია; ისინი აღიარებენ ზეკლასიურ დიქტატურას, მთელი ხალხის ბატონობას, ეგ. წოდ. დემოკრატიას საერთოთ“.

აქ ერთი სიტყვაც არ არის მართალი. ჩვენ არ უარვყოფთ კლასიურ დიქტატურას, უარვყოფთ მხოლოდ პარტიულს, ჯგუფურს. ჩვენ არ გვწამს არაფერი ზეკლასიური, გვწამს მხოლოდ ისეთი ბატონობა, ისეთი მართვა გამგეობა, რომელიც შეეფერება ან არ ეწინააღმდეგება, მაინც, ხალხის ინტერესებს. „ახ. კომუნისტი“ ალბათ ფიქრობს, რომ რუსეთში უმრავლესობის სასარგებლოთ მოეწყო ბოლშევიკური დიქტატურა. ჩვენ არ გვწამს არც ასეთი. არ გვწამს უმრავლესობის გულისთვის ის, რაც არ უნდა ამ უმრავლესობას. იტყვიან, შეუგნებლები არიან, თითონ არ გაეგებათ თავისი ინტერესები და ამიტომაა საჭირო ძალდატანება, ამიტომ უნდა ავიყოლიოთ მარტო იარაღის საშუალებით. თუ უმრავლესობა, შეგნებით შეუგნებელია, ცხადია ნიადაგი არ ყოფილა მომზადებული იმ სოციალიზმისთვის, რომელსაც ატარებს უმცირესობა. ამ შემთხვევაში რევოლიუციისთვის დაწყებული საქმე ემსახურება რეაქციას.

რევოლიუციონური დიქტატურა აუცილებელია, მაგრამ მისი მატარებელი უნდა იყოს კლასი და არა პარტია. თუ პარტია კლასის ინტერესებს გამოხატავს, ის აღარ უნდა ხმარობდეს ძალმომრეობას ამავე კლასის წინააღმდეგ. რევოლიუციონური დიქტატურა ანგარიშს არ უნდა უწევდეს მეორე—მოწინააღმდეგე კლასის სურვილებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მეორე კლასი უნდა შეადგენდეს უმცირესობას.

არასოდეს არ გვითქვამს, რომ ჩვენ მთელი ხალხის ბატონობა გვქონდეს მხედველობაში, ვამბობდით მხოლოდ, რომ ხალხი უნდა ცნობდეს და ნება ყოფლობით მხარს უჭერდეს გაბატონებულ წრეს. უამისოთ არ არის დიქტატურა, არის მარტო თვითნებობა და ცარიელი ძალადობა.

ხალხის ნებაყოფლობა რუსეთში არ სწამდა არც ერთ მეომარ ძალას. გარეგნულ ნიშნეულობით შეიძლება ითქვას, რომ იქ იყო ან არის ორი ძალა. არსებითათ, შინაარსით იყო და ახლაცაა ერთი ძალა. ის გვევლინება როგორც ბოლშევიზმი, ისე ხან ვრანგელის, ხან ბალახოვიჩის და ხან სხვა სახით. სამოქალაქო ომის დროს რუსეთში ვერ ვხედავდით ვერც ბურჟუაზიულ და ვერც პროლეტარულ დიქტატურას. ერთი გამოდიოდა ვითომ ბურჟუაზიის სახელით, მაგრამ სულს უხუთავდა ბურჟუაზიასაც, მეორე გამოდიოდა, ვითომ პროლეტარიატის სახელით და სიცოცხლეს უშხამებდა პროლეტარიატსაც.

რევოლიუციონური დიქტატურა, რასაკვირველია, ანგარიშს ვერ გაუწევს ყველას უფლებებს. არსად და არავისი უფლება რომ არ დაირღვეს, ეს აღარ იქნება დიქტატურა, ანარქია იქნება. მეორე მხრივ, არ უნდა არღვევდეს ყველას უფლებებს. ამ შემთხვევაშიც ის უფრო ანარქიას ემგვანება. ანარქია როგორც ვიცით სხვადასხვა ნაირია—მშვიდობიანიც და სისხლით შეღებილიც.

კ. მარქსი 1873 წელს დასცინოდა ანარქისტებს და აღიარებდა დიქტატურას, რომელიც არ ეპუება დემოკრატიულ პრინციპებს, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამს ჯგუფური და პარტიული ბატონობის სასარგებლოთ. 1873 წელს კ. მარქსს არ გამოუცვლია კომუნისტურ მანიფესტში გამოთქმული აზრი. იქ კი ამბობდა,—მომავალი რევოლიუცია უნდა იყოს დიდი უმრავლესობის მოძრაობა დიდი უმცირესობის წინააღმდეგო.

ენგელსიც ამავე წელს იტალიურ სოციალისტურ კრებულში სწერდა—მცხოვრებთა ერთი ნაწილი თავის ნებას ახვევს თავზე მცხოვრებთა მეორე ნაწილს თოფების, ხიშტების და ზარბაზნების შემწეობითო, მაგრამ აზრათაც არ მოსვლია, რომ ასე თავზე მოხვევა შეუძლია უმცირესობას უმრავლესობის მიმართ. თუ აიღებს „ახ. კომუნისტი“ ენგელსის წერილებს (Статьи 1871—75 г.г. ბოლშევიკების გამოცემაა) დაინახავს როგორ აფასებდა ეს ჩვენი მასწავლებელი ბოლშევიკურ-ბლანკისტურ ზომებს, როგორ უყურებდა ძალმომრეობას უმრავლესობის წინააღმდეგ. „ახ. კომუნისტს“ შეეძლო როდესმე ენახა და გადაეფურცლა მარქს-ენგელსის ოთხტომიანი მიწერ მოწერა (გერმანულ ენაზე) აქ დაინახავდა, ვისთან უფრო ახლოს იდგენ ეს მეცნიერები—ბოლშევიკების აზროვნებასთან თუ იმ სოციალისტებთან, რომლებსაც ახლა ისინი მოღალატეებს და გამყიდველებს ეძახიან. ბოლშევიკების გაზეთი მისგანვე დაწყევლილ კაუცკისაც ეპოტინება ჩვენ წინააღმდეგ. კაუცკი სწერს („Соціальный переворотъ“), რომ მომავალი რევოლიუციონურ წრეებს არ მიემხრობიან არა მარტო მყვლეფელების კლასი, არამედ არც წვრილი ბურჟუების და გლეხების უმრავლესობა და არც ინტელიგენციის დიდი ნაწილი. ასეა მართლაც ბოლშევიკების სამეფოში. და კაუცკის არასოდეს არ უთქვამს, რომ რევოლიუცია გაიმარჯვებს თუ რევოლიუციონური წრეები შეებრძოლენ მათ მოწინააღმდეგე უმრავლესობასო.

წაკითხულს და ამონაწერს გაგება უნდა. „ახ. კომუნისტს“ ყოველთვის აკლდა ეს. მარქსიზმის გაგება რომ მისი საქმე ყოფილიყო, ეცოდინებოდა, რომ რევოლიუციონური დიქტატურა საშუალებაა და არა თვითმიზანი. ბოლშევიკები აღიარებენ დიქტატურას დიქტატურისათვის. ასე გამოდის მათი საქმიანობიდან. მარქსი და ენგელსი კი აღიარებდენ დიქტატურას, როგორც წინმსვლელობის, განვითარების ღერძს. ბოლშევიკებმა ის გადააქციეს უკანსვლის ღერძათ. მათი დიქტატურა რეაქციონურია. იქნება გამიმტყუნოს „ახ. კომუნისტმა“ ეს აზრი და ადვილათ დაგვიმტკიცოს, რომ წითელი რუსეთი შესანიშნავი სისწრაფით წავიდა წინ ამ სამი წლის განმავლობაში...“ ისე წავიდა, რომ გაასწრო ყველა ქვეყნებს...

დროა შეიგნოს ბოლშევიკების გაზეთმა, რომ მეცნიერება არ იძლევა კუზიანის გასასწორებელ საშუალებას.

ს. დევდარიანი.

დამფუძნებელი კრება

23 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ს. მდივანი.

ი. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტებისა: 1) საზღვარ გარეთიდან ზოგიერთ საქონლის შემოტანის აკრძალვის შესახებ და 2) ბორჯომის სახელმწიფო მამულში სანატორიუმის მოსაწყობათ 1 მილიონი მან. გადადების შესახებ.

პროექტი მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისა.

ს. ჯაფარიძე (მომხსენებელი) აღნიშნავს უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისა და ამბობს: მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტები—ეს ისეთი აქტებია სადაც აღინიშნება ადამიანის ცხოვრების უმთავრესი მომენტები, როგორიცაა: დაბადება, ქორწინება და გარდაცვალება. ეს აქტები იწერება სამეტრიკო წიგნებში ამ აქტებს აწარმოებენ მღვდლები. საზღვარგარეთ ახლა ამ აქტებს აწარმოებენ სახელმწიფოს სამოქალაქო აგენტები და არა მღვდლები. გამონაკლისია მხოლოდ შვეცია, სადაც ამ წიგნებს მღვდლები აწარმოებენ. დამფ. კრებაში განსახილველად წარმოდგენილი პროექტი გულისხმობს მღვდლებისაგან ამ წიგნების წარმოების ჩამორთმევას და ამ საქმის სამოქალაქო აგენტებისათვის მინდობას. ამ პროექტს ამართლებს მრავალი მოსაზრებები. ჯერ ერთი ის კანონი რომლის ძალით აწარმოებენ საეკლესიო წიგნებს ერთნაირად აიძულებს, როგორც მორწმუნეებს, ისე არა მორწმუნეთ საეკლესიო წესები შეასრულონ: მაგ. მონათვლის. იქორწინონ და სხვ. წინააღმდეგ შემთხვევაში ის პირი არსად არ აღინიშნება. გარდა ამისა ჩვენში უახლოეს დროში ეკლესია უნდა გამოყოფილ იქნას სახელმწიფოსაგან და ამიტომ ჩვენ წინასწარ უნდა ჩამოვართვათ მღვდლებს ბევრი ის საქმეები, რომლებიც მათ მინდობილი ქონდათ და გადავსცეთ სამოქალაქო აგენტებს და შემდეგ უფრო ადრე და ადვილათ გავატარებთ ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორების კანონს. წარმოდგენილი პროექტის ძალით მეტრიკული წიგნების წარმოება უნდა მიენდოს ადგილობრივ თვითმართველობებს. სამაზრო ერობის გამგეობასთან უნდა დაარსდეს ისეთი განყოფილება, რომელიც ამ საქმეს გაუძღვება მაზრას ფარგლებში. თემებში სამაზრო გამგეობას ეყოლება სამოქალაქო აგენტები, რომელთაც მინდობილი ექნება სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია. თუ თემი დიდია, მაშინ ის დაეყოფა საჭიროების მიხედვით რამოდენიმე წვრილ ერთეულად, რომ ხალხს გაუადვილდეს აგენტთან სარეგისტრაციოდ მისვლა. სამეტრიკო წიგნები უნდა აწარმოვონ ორ ცალად. ერთი ადგილობრივ დარჩება და მეორე გადიგზავნება უფროს ნოტარიუსის არქივში შესანახად. ამ რეგისტრაციის მწარმოებელ აგენტებს უნდა დაევალოს აგრეთვე სასტატისტიკო ფურცლების შედგენაც. წარმოდგენილ პროექტში არ არის აღნიშნული დრო, როდესაც ეს კანონი ძალაში შევა. ეს იმიტომ, რომ ამ კანონის გასატარებლად საჭიროა წინასწარი სამზადისი. ამიტომ ამ კანონის ცხოვრებაში გატარება უნდა მიენდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

გრ. რცხილაძე. (ს. ფ.) აღნიშნავს, რომ წარმოდგენილ პროექტში არ არის ნაჩვენები, თუ რა მნიშვნელობა აქვს მეტრიკაში ცნობების შეტანას, არ არის გარკვეული რჩება თუ არა მეტრიკას წინანდელი მნიშვნელობა. პროექტში არაფერია ნათქვამი ფაქტების შემოწმების შესახებ. როდესაც ცნობას მოიტანს ვინმე დაბადების, ან ქორწინება-გარდაცვალების შესახებ, ამ ცნობას აუცილებლათ შემოწმება უნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ბოროტ-მოქმედება. გარდა ამისა ჩემის აზრით, ამ პროექტის განხორციელება ისე არ შეიძლება, თუ წინასწარ სამოქალაქო ქორწინება არ დაკანონდა.

სპ. კედია (ნ. დ.) აღნიშნავს, რომ ჩვენში ძველი წესები, ადათები და ტრადიციები ისე ძლიერია, რომ საშიშია განხორციელდება თუ არა ცხოვრებაში წარმოდგენილი პროექტი ორატორის აზრით არ არის კარგი, როდესაც მოქალაქე იძულებულია წინდაწინ, რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მხოლოდ მერე შეუძლია მღვდელთან მივიდეს. უკეთესი იქნებოდა ამ მხრივ თავისუფლება ქონოდა მოქალაქეს.

მომხსენებელი უპასუხებს წინათ მოლაპარაკე ორატორებს და სხვათა შო-

დღეს

ინგლის-საფრანგეთის თათბირი საბერძნეთის და აღმოსავლეთის საკითხზე შესდგება ლონდონში.

ბოლშევიკების ცნობით გენ. ვრანგელი ახალ ჯარს აგროვებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

მოკავშირეთა კომისიამ ზემო სილეზიაში გადამალული იარაღი აღმოაჩინა.

დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე გრძელდება საბჭოთა ჯარებსა და პეტლიურა ბალახოვიჩის ჯარებს შორის. ბრძოლა

— —

ნოემბრის 24 ღამით 2 საათზე გულის სიგანივრით გარდაიცვალა ქართული დრამის დამსახურებული მსახიობი ვლად. ალექსი-მესხიშვილი.

რის ამბობს: სამოქალაქო ქორწინების კანონპროექტი უახლოეს დროში იქნება წარმოდგენილი განსახილველად დამფუძნებელ კრებაში. სამოქალაქო ქორწინების კანონის მიღებამდე არც შინაგან საქმეთა სამინისტრო გაატარებს სამოქალაქო მდგომარეობის აქტების კანონს ცხოვრებაში. რაც შეეხება ფაქტების შემოწმებას, რეგისტრაციის მწარმოებელ აგენტს ეცოდინება თავის რაიონში თუ ვინ დაიბადა, ან ვინ დაქორწინდა და თუ ეჭვი შეეპარება, მაშინ უნდა შეამოწმოს ფაქტები. ამით დასრულდა კანონპროექტის ზოგადი განხილვა. მუხლობრივი განხილვა მოხდება შემდეგ.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამზადებელი სადგურის დამთავრებისათვის 3,719 მილიონ მან. გადადების შესახებ.

ვლადიმერ ალექსი მესხიშვილი

(ნეკროლოგი).

გუშინ, 24 ნოემბერს, გარდაიცვალა ჩვენი დამსახურებული არტისტი ვლადიმერ ალექსი—მესხიშვილი. მისი გარდაცვალება დიდს მწუხარებას გამოიწვევს მთელს ჩვენს ხალხში, მეტადრე ჩვენი დრამატიული ხელოვნების მოყვარულთა შორის. ჩვენი სცენის ისტორიაში ვლ. მესხიშვილი წარმოადგენდა პირველს ხარისხოვანს ძალას. მისი ვარსკვლავი ამოცენდა მაშინ, როდესაც ჩვენს დრამატიულს ხელოვნებას პირველად ჩაეყარა საძირკველი და როდესაც ჩვენ სცენას პირველად გაუჩნდენ საუკეთესო შესვეურნი. ეს იყო მე-80-ე წლებში. ახალგაზრდული გატაცებით და სიყვარულით მოეკიდა თეატრის შექმნის საქმეს მოღვაწეთა მთელი პლეადა, რომელთა შორის ვლ. მესხიშვილს ეპყრა პირველ ადგილთაგანი. ამ მოღვაწეთა შორის იყო რამდენიმე, რომლებმაც თავისი ბეჭედი დაასვეს ჩვენი სცენის ისტორიას, რომლებმაც შექმნეს მთელი სკოლა და რომელთა გავლენა გასწვდა სცენის მოღვაწეთა რამდენიმე თაობას. დრამაში, ტრაგედიაში ამნაირი სკოლა შექმნა მესხიშვილმა; მისი მოწაფენი არიან ჩვენი დღევანდელი სცენის საუკეთესო ძალები, მის მიერ არიან აღზრდილნი ჩვენი საუკეთესო მსახიობები და მისი გავლენა, მისი სკოლა ჯერ კიდევ დიდხანს ისულდგმულებს ჩვენს სცენაზე.

მრავალია ის როლები, რომლებშიაც გამოსულა ვლ. მესხიშვილი. ჩვენი ხალხი ჯერ-ჯერობით ანგარიშში ვერც კი მოიყვანს, რამდენი კლასიკური დრამატიული გმირი განასახიერა და ხელოვნურად გადასცა მას მესხიშვილმა. შექსპირის ტრაგედიების გმირები, შილლერის ფრანც-მოორი, გუცკოვის ურიელ-აკოსტა,—ყველა ამ გმირებზე ჩვენს ხალხს წარმოდგენა აქვს მესხიშვილის განსახიერების წყალობით.

გარდაიცვალა ვლ. ალექსი-მესხიშვილი სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენი თეატრი აღორძინების გზას დაადგა, როდესაც მის აყვავების საქმეს მთელმა დემოკრატიამ მოჰკიდა ხელი და როდესაც სრული იმედი დაიბადა, რომ იგი წელში გასწორდება და გაიფურჩქნება ისე, როგორც ამის ღირსია ქართველი ხალხი. ამ მუშაობაში ვლ. მესხიშვილმაც მოინდომა მხურვალე მონაწილეობის მიღება და კიდევაც შეუდგა რამდენიმე პიესის მზადებას, როგორც ერთი რეჟისორთაგანი. მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა მას საზოგადოებისთვის დაენახვებინა მის მიერ სცენაზე დადგმული პიესა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

24 ნოემბერი.

გერმანული ცნობები

იარაღის აღმოჩენა ზემო სილეზიაში

„დოიტშე ალგემაინე-ცაიტუნგი" იუწყება, ზემოსილეზიაში მოკავშირეთა კომისიამ დამალულ იარაღის ძებნის დროს მრავალი აღმოაჩინა. მათ რიცხვში ტყვიისმფრქვევლები. მრავალი იარაღი აღმოჩნდა პოლონეთის რაიონში, თუმცა პოლონელები ირწმუნებოდენ, რომ მათ იარაღი დამალული არ ქონდათ.

ქრისტიან პროფ. კავშ. კონგრესი

ესენში საერთაშორისო დელეგატების დასწრებით გაიხსნა ქრისტიან პროფესიონალურ კავშირთა მეათე კონგრესი. ორატორებმა აღნიშნეს, რომ სხვადასხვა ერთა ძმობა შეიძლება დამყარებულ იქნეს მხოლოდ ქრისტიანულ პრინციპზე, მინისტრი შტეველვარდი მოითხოვდა რომ შეკავშირებული ქრისტიანი მუშები, რომლის რიცხვი 10 მილიონს აღწევს, დაეხმარონ სამშობლოს აღდგენაში, მოითხოვდა ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვას, ილაპარაკა მეწველ ძროხების გადაცემის წინ აღმდეგ, მოითხოვდა პარლამენტის კომისიის, ქრისტიანულ ეროვნულ გაზეთისა და ქრისტ. ნაციონალურ ბანკის დაარსებას. ყველა რეზოლიუცია ერთხმად მიიღეს.

მატარებლის დაჯახება.

სადგურ ბრაუნსვალდთან, მარენბურგის ახლოს სამგზავრო მატარებელი საბარგოს დაეჯახა. დამსხვრეულ მატარებლიდან ამოიყვანეს 40 მოკლული და დასახიჩრებული.

ხორბალის შესყიდვა.

აგვისტოს შუა რიცხვებიდან სექტემბრის შუა რიცხვამდე გერმანიის მთავრობამ იყიდა მილიონი ტონი ხორბალი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. ჩრდილოეთის ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

დასავლეთის ფრონტი.

მოზირის რაიონში ბალახოვიჩის ჯარს კალინოვიჩის ჩრდილოეთ-დასავლეთით 20 ვერსზე შეხვდა ჩვენი ჯარი, ბრძოლა სწარმოებს, რომლის შედეგი ჯერ არ გამორკვეულა. დადევნების დროს ჩვენ წამოვიყვანეთ რამდენიმე ასი ტყვე. პეტლიურას ჯარის ნაწილი საზღვარზე გადავიდა, ისინი პოლონეთის ჯარმა განაიარაღა.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი.

სტარო-კონსტანტინოვკის რაიონში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. ვოლოჩინსკის მიმართულებით პეტლიურას ჯარი დავამარცხეთ. ჩვენმა ჯარმა ვოლოჩინსკი აიღო. ბრძოლის დროს წამოვიყვანეთ მრავალი ტყვე. ხელთ ვიგდეთ 14 ზარბაზანი, 150 ტყვიისმფრქვეველი, 3 ჯავშნიანი მატარებელი, 3 ვაგონი და სხვა მრავალი ნადავლი. სამხრეთის ფრონტზე სიწყნარეა. კავკასია-ტურკესტანის ფრონტზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

სად უნდა გაიმარჯვოს.

მოსკოვი. 23 ნოემბ. საბჭოთა რუსეთმა ზურგში გამარჯვებას უნდა მიაღწიოს აუცილებლად. მეტალურგიულ ქარხნების და ტრანსპორტს არა აქვს სათბობი მასალა. ზოგიერთ ადგილებში წარმოება შემცირდა. დონის მოლაზი, ეს მთავარი ადგილი ნახშირისა, საჭიროებს მოწყობას. არა აქვს საკმარისი ქვაბები, სუსტია ელექტროფიკაცია, ყოველივე მოკლე ხანში უნდა მოწესრიგდეს. დონის ოლქი ორჯერ მეტს ნახშირს მოგვცემს ზომების მიღების შემდეგ, ვიდრე ეხლა. ზომები დაუყონებლივ უნდა იქნეს მიღებული. მშრომელმა მასამ გმირული ზომებით უნდა განაგრძოს სახალხო მეურნეობის აღორძინება: ყოველივე მსხვერპლი უნდა გავიღოთ, უნდა გავაორკეცოთ და გავასამკეცოთ შრომა.

საფრანგეთი და უნგრეთი.

(დამახინჯებულია).. საფრანგეთის ცდამ გააერთიანებია რუმინია, უნგრეთი და პოლონეთი და ეს კავშირი რუსეთის წინააღმდეგ გამოეყენებია, ცუდათ ჩაიარა. რას მიაღწიეს ჩვენმა მტრებმა? საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთები სწერენ: ყირიმის დაჭერის შემდეგ, საბჭოთა რუსეთი იქ იმდენ სამხედრო მასალას ჩაიგდებს ხელში, რაც წითელს ჯარს გააძლიერებს და განამტკიცებსო. ვრანგელის დამარცხების შემდეგ უკანასკნელ დღეებში რუსეთის ნიკოლოზის ფულის ფასი ძლიერ დაეცა. ამას უკავშირებენ ვრანგელის დამარცხებას, რომლისთვისაც საზღვარ-გარეთელი ბანკები ყიდულობენ მეფის ფულებს.

ვრანგელის ცდა.

სამხრეთ სლავიის მთავრობას მიმართა ვრანგელმა თხოვნით, რათა ნება დართოს მას ყირიმიდან გამოქცეული 20,000 კაცი მოათავსოს იქ. ყირიმიდან გამოქცეულებს მოათავსებენ აგრეთვე რუმინეთში და ბულგარეთში. ვრანგელი აცხადებს, რომ უნდა დაარსდეს საბჭოთა წინააღმდეგ ახალი ჯარი.

პოლონეთში.

პოლონეთის სამხედრო სასამართლოები საბჭოთა ყველა მოსამსახურეს სასამართლოში აძლევენ. საკმარისია, რომ ესა თუ ის პირი საბჭოთა დაწესებულებაში ან მილიციაში მსახურებდეს, რომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანონ. მლავაში და ცეხანოვში რამდენიმე დღის განმავლობაში 23 ასეთი საქმე გაირჩა. 12 კაცს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა, დანარჩენებს ციხეში ჯდომა. პოლონეთის გენერ. ჟელიგოვსკიმ ლიტვას შეუტია.

უნგრეთში.

უნგრეთის თეთრგვარდიელთა ბელადების ლუკაშევიჩისა და ხორტის შორის შეიარაღებული ბრძოლა იწყება. ლუკაშევიჩის მხარეზეა თეთრგვარდიელთა კადრის აფიცრები, ხორტის მხარეზე—ბიუროკრატია იმავე დროს უნგრეთში ძლიერდება მუშათა მოძრაობა.

ლიონის ცნობები

ინგლისი და საფრანგეთი.

პარიზი. ნოემ. 23. მინისტ. საბ. თავმჯდომარე ჟორჟ ლეიგი პარიზს 25 ს დასტოვებს, თუ პალატაში ვატიკანთან დიპლომატიური დამოკიდებულების განახლების საკითხი დასრულდა. ის წავა ლონდონში ლოიდ ჯორჯთან საბერძნეთისა და აღმოსავლეთის საკითხზე სათათბიროდ. საგარეო საქმეთა გენერალური მდივანი ბერტელო მას თან წაჰყვება. საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობა ერთგვარად წინააღმდეგია კონსტანტინეს ტახტზე დაბრუნებისა, მის მიერ კონსტიტუციისა და ომის დროს საბერძნეთის დამოუკიდებლობის პირობის დარღვევისა და მის მიერ ანტანტისადმი მტრულ განწყობილების გამო. ინგლისი და საფრანგეთი კონსტანტინეს ათინაში დაბრუნებას ძალით არ გაუწევენ წინააღმდეგობას, მაგრამ ისინი აფრთხილებენ საბერძნეთის ხალხს, რომ ეს დაბრუნება პოლიტიკურ-ეკონომიურსა და ფინანსიურ დამოკიდებულებებში ცვლილებებს გამოიწვევსო.

ვენიზელოსის პატივსაცემლად.

პარიზის ქალაქის საბჭომ ორშაბათს გადასწყვიტა ვენიზელოსის მიმართ გამოსთქვას თანაგრძნობა და პარიზის ერთ ერთის ქუჩას მისი სახელი უწოდოს.

სამხრეთ-სლოვაკიაში.

სამხრეთ-სლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ტრუმბიჩი, სთვლის რა თავის მიზნებს მიღწეულად, გადადგა.

საფრანგეთის პრესის თანახმად, ჟორჟ ლეიგი ინგლისში კვირას წავა. ბერტელო მასზე ადრე გაემგზავრება.

ხელშეკრულების რატიფიკაცია.

საფრანგეთის პრესა იუწყება: რაპალოს ხელშეკრულების რატიფიკაციას იტალიის მთავრობა მოკლე დროში მოახდენსო. ხელშეკრულებას იხილავს დეპუტატთა პალატასთან არსებული საგარეო საქმეთა კომისია.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოში.

მინისტრთა საბჭოს სხდომა სამშაბათს მილერანის თავმჯდომარეობით შესდგა. თავმჯდომარემ აუწყა კრებას საბერძნეთის მდგომარეობა. საზოგადოებრივ საქმეთა და შრომის მინისტრმა აუწყა საბჭოს ის შეთანხმება, რომელიც მოხდა მემალაროეთა ფედერაციის ეროვნულ საბჭოსა, მალაროს მეპატრონეთა და მთავრობის შორის.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

ნოემბრის 24.

უკრაინის უპარტიონი.

ხარკოვი. „იზვესტია" იუწყება: უკრაინაში უპარტიოთა გავლენა ძლიერდება. მუშათა დეპუტატების საბჭოში უკანასკნელ არჩევნების დროს გავიდა 333 კომუნისტი და 167 უპარტიო.

მახნოს მომხრეები.

მოსკოვი. „იზვესტია" იუწყება: მახნოს მომხრეები წინააღმდეგი არიან წითელი ჯარის მიერ შექმნილ წესწყობილებისა: მათ შექმნეს საკუთარი ორგანიზაცია ანარქისტულ საფუძველზე. არჩევითი წესი უარყოფილია. ყველა მოხალისე, რომელიც მახნოს რაზმებიდან წითელ არმიაში გადაირიცხება, სიკვდილით ისჯება. მეტად გავრცელებულია დახვრეტა სასამართლოს დაუდგენლად.

სასურსათო საქმე მოსკოვში.

მოსკოვი. „ეკონომიჩესკაია ჟიზნი"-ს ცნობით მუშათა დაკმაყოფილება პურით თანდათანობით იცვლება. მოსკოვის მუშები იენისის განმავლობაში პურით დაკმაყოფილებულნი იყვნენ 57%, ივლისში 38%, აგვისტოში 36%, და სექტემბერში 26%-ით. ამ ხნის განმავლობაში სრულებით არ აწვდიდენ მათ თევზეულობას. შაქარს აძლევდნენ მარტოთ მარტო „დამკვრელ ქარხნების" მუშებს. მოსკოვის სასურსათო კომიტეტი სურსათ სანოვაგეს აწვდის სულ 2 161.900 კაცს, მათ რიცხვში შედიან მუშები—სამოქალაქო მოსამსახურენი და წითელ არმიელნი თავისი ოჯახებით.

ინგლისის წინააღმდეგ.

ლონდონი. „ტაიმსი" იუწყება: „სამხრეთ აფრიკის საფრთხის" შესახებ: სამხრეთ აფრიკაში იზრდება ირლანდიური ნაციონალისტური მოძრაობა, რომელიც მიმართულია ინგლისის წინააღმდეგ და სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკის შექმნისაკენ.

საბერძნეთის გარშემო

ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ ვენიზელოსის დამარცხება მოულოდნელი იყო ევროპისათვის იმის გამო, რომ საბერძნეთში დახურული იყო ოპოზიციონური გაზეთი. ამავე საკითხის შესახებ ბერლინის პრესა აღნიშნავს: საბერძნეთისადმი დახმარება არ შედის ამ ჟამად ინგლისის მთავრობის ანგარიშში, რადგანაც ინგლისის მთავრობას ქემალისტებთან შერიგება სურს. მდგომარეობა საბერძნეთში კვლავ გამოურკვეველი რჩება: ინგლისი და საფრანგეთი წინააღმდეგნი არიან საბერძნეთის ტახტზე მეფე კონსტანტინეს დაბრუნებისა იმ დროს, როდესაც ბერძენთა უმეტესობა და აგრეთვე იტალია და ოსმალეთი კონსტანტინეს მხარეზეა.

მცხოვრებთა რიცხვი შეერთებულ შტატებში.

ვაშინგტონი. სტატისტიკურ ბიუროს ცნობით ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების მცხოვრებთა რიცხვი ამა წლის ოქტომბრის პირველს უდრიდა 105,786,000 სულს, ე. ი. 13,795,000 1910 წელში მცხოვრებთა რიცხვმა 15 პროც. მოიმატა. ამასთანავე აღნიშნავენ, რომ აღნიშნული მომატება შეერთებულ შტატების ისტორიაში მეტად მცირეა. ეს სიმცირე ომით აიხსნება.

მოსავალი და სიძვირე.

პარიზი მიმდინარე წლის ხორბლეულობის მოსავალი წარსულ წელთან შედარებით მეტად გაიზარდა. დათესილ ადგილთა სივრცე გადიდდა 6%, მოსავალი კი 26%-ით. „ტანი" აღნიშნავს, რომ მიუხედავათ კარგი მოსავლისა, ხორცი და პური მაინც ძვირათ ფასობსო.

აჯანყება საბჭოთა რუსეთში.

„ჟურნალ დე დება" იუწყება სიმპალატინსკის რაიონში მომხდარ აჯანყების შესახებ. ორენბურგის გუბერნიაში აჯანყებულებს მოუსპიათ საბჭოთა რეჟიმი. გლეხები ყაზახებთან ერთად ტომსკის წინააღმდეგ გალაშქრებას აპირებენ.

იტალიაში.

რომი. უკანასკნელ დღეებში დააპატიმრეს რამდენიმე ანარქისტი. ვენეციასა და გენუაში დააპატიმრეს მუშათა გაერთიანების საბჭოს წევრები.

ქემალისტების გეგმა.

პარიზი. „ჟურნალ დე-დება" სწერს: ქემალისტების გეგმები მუქარას წარმოადგენს აზიაში წარმოებულ ანტანტის პოლიტიკისათვის. მოკავშირეთა მთავრობებმა ერთა ლიგასთან ერთად დაუყონებლივ უნდა მიიღონ საჭირო ზომები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დასაცავათ. სამწუხაროთ, სწერს გაზეთი, აქტიურ დახმარების აღმოჩენისათვის მეტად მცირე საშუალებანი გვაქვს, მაგრამ ეს საშუალებანი არსებობს და საჭიროა მათი გამოყენება.

აჯანყება კორეიაში.

ლონდონი. პრესა იუწყება: ტოკიოდან მოსულ ცნობით დაუპატიმრებიათ კორეის აჯანყების მეთაური.

კაშენი.

პარიზი. „ჟურნალ დე დება" სწერს: კაშენი განაგრძობს ბოლშევიზმის ქადაგებას საფრანგეთში. მართალია კაშენმა ორი თვე დაჰყო რუსეთში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი თუნდ ოდნავად მაინც გაეცნო რუსეთის ყოფა-ცხოვრებას. მისი გაცნობა საბჭოთა რუსეთისა იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი დადიოდა ერთი ბანკეტიდან მეორეზე და სრულებით არ ესმოდა რუსული ენა.

საქართველოში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის პრესის ბიუროს ბიულეტენიდან

18 ნოემბერი.

მოლაპარაკება ანატოლიასთან.

სტამბოლი. 10 ნოემ. გაზეთ „ჟურნალ დ-ორიანის" თანამშრომელმა ინახულა მიწათ-მოქმედების სამინისტრო, სადაც მინისტრმა გუსეინ კიაზიმ-ბეიმ შემდეგი ცნობები მისცა ანატოლიაში დელეგაციის გაგზავნის შესახებ:

„პრესის სენსაციურმა ცნობებმა მთავრობაზე მეტად არა სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა მთავრობის წრეებზე. ჩვენ გაზეთებიდან მეტ თავშეკავებას მოველოდით, მეტადრე ეხლანდელ მომენტში, როდესაც ადვილათ შეიძლება საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანა.

უეჭველია, რომ ანატოლიის საკითხმა ყველა დააინტერესა. მთავრობამ თავის მხრით მიაპყრო მას მთელი თავისი ყურადღება. კაბინეტი მშვენივრად ეფასებს მიმდინარე მომენტის დიდ მნიშვნელობას, რაც გაუშვებს საჭირო მომენტს.

მიუხედავათ ამისა, შემიძლია თქვენ დაგარწმუნოთ, რომ მინისტრთა საბჭოს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია ანგორაში მისიის წასვლის საკითხი, თუმცა ამის შესახებ იყო პრესაში ცნობა. ცნობები დელეგაციის გამგზავრებისა და მისი შემადგენლობის შესახებ—არაფერზე არ არიან დაფუძნებულნი.

პირველ დღიდანვე მთავრობამ გადასწყვიტა გაეგზავნა თავისი წარმომადგენლები ანატოლიაში, ამაში არაფერია არა-ბუნებრივი. როდესაც დადგება საჭირო მომენტი, მისია გაემგზავრება. სრულიად ნაადრევია აგრეთვე ლაპარაკი იმ პირობებზე, რომლებზედაც ვითომდა უნდა დაიდოს ხელშეკრულება. ამგვარ შეთანხმების შესაძლებლობის იდეა შეიძლება გამოჩნდეს მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ჩვენ და ანგორა წარუდგენთ ერთი-ერთს პირობებს.

როგორც კი დადგება საჭირო მომენტი, მთავრობა გამოაქვეყნებს ოფიციალურ ცნობას, ცხოვრებაში არის ისეთი მომენტი, როცა არ შეიძლება სრულისიმართლის თქმა, ვინაიდან უდროვო გამოაშკარავებას შეუძლია ზიანის მოტანა.

აუცილებელია, რომ ფაქტებმა მიიღონ წინდ განვითარების განსაზღვრული დონეს, რომ შესაძლებელი იყოს ისინი ურისკოთ გახდენ ყველასათვის გასაგებათ. მოხდება თუ არა ეს, მთავრობა მაშინვე აცნობებს ხალხს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯების შესახებ. თუ ჩვენ შევძელით მიზნის მიღწევა და ღვიძლი კავშირი ანატოლიასთან, ამით დიდ სარგებლობას მოვუტანთ ჩვენს სამშობლოს სანამ ძალა უფლებას მიიღებდა, კაბინეტმა ამ კითხვის ყველა დეტალები განიხილა.

იზზეტ-ფაშის განცხადება.

სტამბოლი, 10 ნოემბერი. „პოიამ საბაჰ"-ის ცნობით ანატოლიაში დელეგაციის გაგზავნის შესახებ იზზეტ ფაშამ შემდეგი განაცხადა: „დელეგაციის წევრები ჯერ კიდევ არ არიან დანიშნული. ორი კვირის წინათ მთავრობამ გაგზავნა მოხელე ანგორაში განსაკუთრებული დავალებებით. ეს დავალებები მდგომარეობს იმაში, რომ ანტანტასთან დამოკიდებულება აღადგინონ".

ანგორა-სივასი.

სტამბოლი, 8 ნოემბერი. „აქშამ"-ი იუწყება: რკინის გზა ანგორა-სივასს შორის თითქმის დამთავრებულია. მხოლოდ გვირაბების დასამთავრებლად არ არის საკმაო მასალა.

ტელეგრაფის კავშირი ანატოლიასთან.

სტამბოლი. 10 ნოემბერი. მიღებულია ზომები ანატოლიასთან ტელეგრაფის კავშირის აღსადგენათ, მხოლოდ ანგორიდან ამის შესახებ პასუხი არ არის მიღებული; არის იმედი, რომ ზანგულდაკის ხაზი გამოსწორებულ იქნება და აღდგენილ იქნება ტელეგრაფის კავშირი.

სავაჭრო მოლაპარაკება ინგლისთან.

მოსკოვი, 4 ნოემ. ინგლისური გაზეთი „დეილი ჰერალდი" იტყობინება, რომ ხელშეკრულებას საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ფორმაში—ჩააბარებენ კრასინს 22 ან 23 ნოემბერს.

ანდრეიკა ჟორდანიას სახელობის სახლში

მე ვნახე თფილისში ჯერ ყველაფერი, რაც ხდება და კეთდება მოზრდილი პროლეტარიატის საკეთილდღეოთ, მისი ბედიღბალის გასაუმჯობესებლად. მერე ამ დღეებში, გავიცანი ის, რაც იწყობა ბავშვებისათვის, მოზარდი ახალგაზრდობისთვის, მომავალი თაობისთვის და მე შემიძლია ვსთქვა, რომ აქამდის იშვიათათ გამომიცდია ასეთი ბედნიერების გრძნობა, როგორიც გამოვცადე ბავშვის სახლში. აქ, როგორც ვხედავ, რამდენიმეთ განხორციელებულია ის, რაც ყოველ სოციალისტს გულს აუძგერებს: ღარიბების, ბედისგან მოძულებული ბავშვები აქ სიყვარულის და მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან, მათი სურვილი სიხარულით სრულდება, მათი განვითარების გულისთვის დიდი მსხვერპლი იწირება, აქ ისინი ამ მხრივ მდიდრების შვილებთან შედარებით უკეთეს პირობებში არიან. საბავშო სახლის უბრალო მოწყობილობაში იშლება ისეთივე სურათი ბავშვის სიხარულის და გაუჭირვებლობის, როგორც მდიდრების სახლებში. გულშემატკივარი ადამიანები აქ ცდილობენ პატარა ბავშვების გულში აღზარდონ მშვენიერების და სიკეთის გრძნობა, გაუღვიძონ საკუთარი შრომის სიყვარული, შეაგნებინონ მისი მაღალი ღირებულება.

ერთს ოთახში გულმოდგინე ბავშვის ხელით კეთდება ესა თუ ის გამოსადეგი ნივთი, მაგალითად, ფეხსაცმელი თავისთვის, ან თავისი და-ძმისთვის, ან დედმამისთვის. ეს არ არის ადვილი სამუშაო ბავშვის ნაზი თითებისთვის. მეორე ოთახში სხედან პატარა თავდახრილი მხატვრები, და გულმოდგინეთ აკეთებენ თავის საქმეს. შიშველი კედლები დამშვენებულია ნიჭის მაჩვენებელი სურათებით, ამ სურათებზე ნაკლებათაა მასწავლებლისაგან გადმოცემული, აქ უფრო თავისუფალი ოცნების ნაყოფია ქაღალდზე გადასული. რა მდიდარი და გამბედავია ზოგიერთ ბავშვის ეს ოცნება აქ ვხედავთ გამბედავ მხედარს, აგერ რკინის გზის მატარებელი, აგერ ბაზარის სურათი ან სოფლის გასართობები; ყველაზე ხშირათ თავიანთ სამშობლოს ისტორია აღფრთოვანებს პატარა მხატვრებს. გამოჩნდა თამარ მეფის სურათი, რომელსაც რუსთაველი მუხლებზე დაჩოქილი მიუძღვნის თავისი მუზის ნაყოფს. როგორის მზრუნველობით არის შესრულებული ეს სურათი! რა ნაზია თამარის სამოსი! რა მხატვრულია ნოხების სურათი! შეიძლება ამ სურათებით დაუსრულებლად, დაუღალავათ აღფრთოვანებით იყოთ.

რა ნიჭი და უნარი არ არის ხალხის სულში! მე არ შემიძლია წარმოვიდგინო უფრო კეთილშობილური მიზანი, ვიდრე ის, როგორიც არის ამ ნიჭის განვითარება. აქ შრომა თავისთავად არის უმაღლესი ჯილდო: ასე არ არის იქ, სადაც მასწავლებლები და მოწაფენი ძალით არიან დაკავშირებულნი ერთი-მეორესთან. სწორედ ამიტომ, რომ ბავშვთა სახლში არ არის იძულების სისტემა, რომ სახელმძღვანელო პრინციპებათ გადაქცეულა ბავშვის თავისუფალი და ყოველმხრივი აღზრდა-განვითარება,—სწორედ ამიტომ ბავშვთა სახლის მნახველი განიცდის ორმაგ სიხარულს. თავისუფლება და სიყვარული ქმნიან აქ მცირე დაწესებულებიდან დიდსა და ბევრ იმედების მომცემ საქმეს.

თუ ჩვენ შევეკითხებით ჩვენს თავს—ვინ შექმნა დღეს, დღევანდელ მძიმე პირობებში,—ტანჯვა-წამებათა და სიღატაკის უსაზღვრო ზღვაში—ასეთი ბედნიერების პატარა ოაზისი ღარიბეს ბავშვთათვის,—ჩვენ მივიღებთ პასუხს, რომელიც ჩვენზე მეტათ ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს. ჩვენს წინ აქ იმის მაგალითია, თუ როგორ ჰბადებს სიკვდილი ახალ სიცოცხლეს, როგორ იმარჯვებს სიცოცხლე სიკვდილზე!

სათუთი, ბევრ იმედების აღმძვრელი ყვავილი ადამიანის ცხოვრებისა სასტიკ ბედის წერის მოხებით უნდა დალეულიყო. და მისი თესლი დღეს იძლევა მდიდარ ნაყოფს; ეს ნაყოფი უფრო მდიდარი იქნება მაშინ, როდესაც თავდადებულ მოღვაწე ქალთა და კაცთა მცირე წრე გაიზრდება და გადაიქცევა დამხმარეთა და ცოდნის მიმწოდებელთა დიდ კავშირათ. ეჭვი არ არის, რომ ეს მიღწეული იქნება, ვინაიდან ბავშვთა საჭიროება ყველაზე უფრო ახლოა ჩვენს გულთან, ეგი ყველაზე უფრო მოითხოვს ჩვენს დახმარებას.

ისინი ხომ ჩვენი შვილები არიან, ჩვენი მომავალი, რომლებზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ და რომლებისთვისაც სინათლისა და სიხარულის მიწოდება დაუსახავთ მიზნათ ბავშვთა სახლის დამაარსებელს და მის თანამოშრომელთ. ჭეშმარიტათ შეგვიძლია ვსთქვათ: რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო ლამაზი, მნიშვნელოვანი და ადვილი გასაგები, ვიდრე ის, რომ მთელი ძალებით ხელი შევუწყოთ ამდენათ სიმპატიურ ბავშვთა სახლის მომავალ განვითარებისა და აყვავების საქმეს?

ლუიზა კაუცკისა.

ტარიფი შემოსატან და გასატან საქონელზე

ნოემბრის 19 ს. ფინანსთა მინისტრის საბჭოს სხდომაზე განიხილეს საბაჟოს ახალი ტარიფი შემოსატან და გასატან საქონელზე. მომხსენებლად გამოვიდა ფინანსთა სამინისტროს საბაჟო განყოფილების გამგე ვ. მიქაძე, რომელმაც საბჭოს გააცნო ამ ჟამად მომქმედ კანონის უმთავრესი საფუძვლები. ამ კანონის სამაგიეროთ უნდა შემოღებულ იქნეს ახალი, რომელიც 218 მუხლისაგან შესდგება. ახალი საბაჟო ტარიფის მიხედვით ყველა შემოსატანი საქონელი განიყოფება ოთხ ჯგუფად: 1) სურსათ-სანოვაგე, მიწის დასამუშავებელი იარაღები და მანქანათა ნაწილები უბაჟოთ შემოიტანება, 2) სავსებით აკრძალულია ფუფუნების საგნების შემოტანა, 3) მასსიურ სახმარებელ საგნებზე დაწესდება მცირედი ბაჟი და 4) ყველა სხვა დანარჩენ შემოსატან საგანს დაედება ბაჟი იმისდამიხედვით, თუ როგორ საჭიროებას წარმოადგენენ ისინი რესპუბლიკის მცხოვრებთათვის. გასატანი საქონელი განიყოფება სამ ჯგუფად: 1) პირველ საჭიროებისა ან მასიურ სახმარებელ საგნებს აკრძალვითი ბაჟი ედება, 2) სამონოპოლიო საქონლების და ყოველგვარი ნედლი მასალების გატანა, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უცხო ბაზარზე, ე. ი. მარგანეცის, თამბაქოსი, აბრეშუმის, მატყლისა და სატყეო მასალის, ნებადართული იქნება მთავრობის მიერ დაწესებულ სათანადო ბაჟის გადახდის შემდეგ და 3) სხვა საქონლები, რომელთაც დიდი ბაჟი ედება. აღნიშნულ ტარიფის საერთო პრინციპი გამოიხატება იმ მისწრაფებაში, რომ გაძლიერდეს საქონლის გატანა და შემცირდეს შემოტანა, რაც ხელს შეუწყობს დადებითად სავაჭრო ბალანსის განმტკიცების საქმეს.

შემდეგ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე დ. აფხაზმა მოკლე მოხსენება გააკეთა ახალი ტარიფის პროექტის საკითხის ისტორიის შესახებ. ამ პროექტს ამუშავებდნენ ფინანსთა მინისტრის საბჭოს დადგენილების თანახმად. პროექტის დამუშავებაში მონაწილეობას ღებულობდნენ დაინტერესებულ სავაჭრო სამრეწველო წრეების წარმომადგენლებიც. ეს პროექტი წარმოადგენს ამ კომისიის მუშაობის შედეგს. პროექტის განხილვის შემდეგ საბჭომ დაადგინა: მიიღოს სავსებით კანონ პროექტი და წარუდგინოს მთავრობას.

შრომის სამინისტროში

შრომის სამინისტროში შეიმუშავეს მუშა ძალის ანგარიშისა და განაწილების წესდების პროექტი. პროექტის ძირითადი დებულებანი შემდეგია: 1) შრომის სამინისტროსთან არსდება მუშა ძალის ანგარიშისა და განაწილების განყოფილება, 2) განყოფილების მიზანია შეიერთოს რესპუბლიკის საზღვრებში არსებული ყველა შრომის ბირჟის მუშაობა, 3) მუშა ძალის ანგარიშისა და განაწილების განყოფილება ხელმძღვანელობას უწევს ყველა არსებულ ბირჟას, ხსნის ახალ ბირჟებს, ინსტრუქციას აძლევს მათ და სხ. 4) განყოფილება ცნობებს კრებს მუშათა ბაზრის მდგომარეობის შესახებ ადგილობრივ, 5) ხელს უწყობს უმუშევართა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე შეღავათიან პირობებში გადაყვანას; ამ მიზნით იგი მოლაპარაკებს აწარმოებს სათანადო უწყებებთან, 6) განყოფილებასთან ეწყობა სტატისტიკური შინა-განყოფილება მუშათა ბაზრის მდგომარეობის შესახებ ცნობების შესამუშავებლად, 7) გაფიცვისა და ლოკაუტის ჟამს, რომელიც შეიძლება საქართველოს რომელიმე რაიონში მოხდეს, განყოფილება ამის შესახებ ამცნობს არსებულ შრომის ბირჟებს და წინადადებას მისცემს მათ შესწყვიტონ თავისი მოღვაწეობა იმ წარმოებათა მიმართ, სადაც ამ უთანხმოებამ იჩინა თავი. შრომის ბირჟათა მოღვაწეობა ამ წარმოებათა მიმართ შეწყვეტილი იქნება მანამდის, სანამ ორივე მხარისაგან ისინი არ მიიღებენ ცნობებს, რომ უთანხმოების ლიკვიდაცია უკვე მომხდარია, 8) განყოფილებას ინახავს შრომის სამინისტრო თავისი ხარჯით. (სდს).

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან).

„ახალი ხალათი და ხიტილები." ამ სათაურით „პრავდა"-ში მოთავსებულია ა. სერაფიმოვიჩის წერილი, რომელშიაც შემდეგს ვკითხულობთ: „წითელ არმიელები ტიტვლები არიან: ისინი უნდა შევმოსოთ. მოგროვეს მკერავები, საკერავი მანქანები; მიიღეს ყოველი ზომები, მაგრამ რას ვხედავთ; ხშირათ წითელ არმიელებს მიცემული აქვთ ახალი ხალათები, მაგრამ იმდენათ ცუდათ შეკერილი, რომ ერთი კვირის შემდეგ ხალათი ირღვევა და წითელ არმიელიც უტანსაცმელოთ რჩება." რა არის ამის მიზეზი?—კითხულობს ავტორი და უპასუხებს: მიზეზი ის არის, რომ ხალათები ცუდი ძაფით იკერება: და ეს მაშინ, როდესაც მკერავებს კარგი ღირსების ძაფი ეძლევათ. სადღა იკარგება კარგი ძაფი?—რასაკვირველია, — განაგრძობს ავტორი,—ძაფი მიაქვთ წმინდა ალაგას —სუხარევკაზე. იქ ხომ კოჭა ძაფი 800 —1000 მანეთი ღირს! საიდან ახერხებს ძაფი სუხარევკაზე გაძრომას?—მიაქვთ კერძოთ მკერავებს, მიაქვთ სახელოსნოებიდან და საწყობებიდანაც... ავტორი წერილის ბოლოს მოითხოვს, რომ დაწესებული იქნეს სასტიკი კონტროლი; წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრიც რომ იყოს ახალი ტანისამოსი, წითელ არმიელები შიშველი დარჩებიან და ისინი ფრონტზე წასვლაზე უარს განაცხადებენ.

„წითელ" აზერბეიჯანში

(გაზეთებიდან)

მუშა ხელის ნაკლებობა. ნავთის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების დაცემას და საერთოდ აზერბეიჯანში მრეწველობის შეჩერებას ადგილობრივი პოლიტიკოსები ხსნიან, სხვათა შორის, მუშა ხელის ნაკლებობით. კითხვა მუშა ხელის ნაკლებობისა და მუშათა მიზიდვის შესახებ ირჩეოდა ყველა მნიშვნელოვან კრებებზე და თათბირებზე. ადგ-

ბეიჯანის კომუნისტურ პარტიის ყრილობაზე ამ კითხვას დიდი ყურადღება მიაქციეს. ერთმა ორატორმა აღნიშნა, რომ მეურნეობის მრავალ დარგში მუშახელის საჭირო რაოდენობის მხოლოდ 2—10 პროცენტია. მან სთქვა: ასეთ მდგომარეობაში არაფრის გაკეთება არ შეუძლია. უნდა გამოვაკეთოთ სხვა, უკვე დაწყებული, მაგრამ სამწუხაროთ, ძლიერ ცუდ მდგომარეობაში მყოფი საქმე. შრომის ბეგარის დეკრეტი ძლიერ ძნელად ტარდება ცხოვრებაში.

მიღებულ უნდა იქნას გადამწყვეტი ზომები. სამრეწველო დარგების მუშათა უზრუნველყოფის და საერთოდ მუშათა სურსათით უზრუნველყოფის საკითხი რადიკალურად უნდა გადაიჭრას.

სურსათის საკითხი. ბაქოს აღმასრულებელმა კომიტეტმა სასურსათო საკითხის შესახებ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: 1) დაუყონებლივ გაუქმდეს „ნარკომპროდის დადგენილება შემახის მაზრის მე-XI არმიის პროდკომისთვის გადაცემის შესახებ, რადგანაც ეს ერთად ერთი მაზრაა, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს სასადილოები; 2) ჯარისათვის მომარაგებულ თევზის 15—20 პრ. მაინც გამოიყოს ბავშვთა სასადილოებისათვის. 3) საბარათო სისტემა გატარებულ იქნას წარმოების სისტემის მიხედვით.

ახალი ამბები

დღეს, შუადღის 12 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტის სხდომა.

◆ დღეს საღამოს სრულ 7 საათზე, დამფუძნებელი კრების სასახლეში, სპარსულ დარბაზში, დანიშნულია ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის შეერთებული სხდომა პრეზიდიუმისა და კომიტეტის მომუშავე ყველა სექციებისა, დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

◆ **მთავრობის დადგენილებით** გუდაუთის მაზრიდან დროებით გამოეყო გაგრა-ბიჭვინთა-ფსოუს სამხედრო რაიონი მდინარე პასფსამდე. მთავრობის საგანგებო რწმუნებულათ აღნიშნულ რაიონში დაინიშნა დამფუძნებელ კრების წევრი ლ. რუხაძე.

◆ **მუშათა მაგიდა** შეუდგა ათ ათი გირვანქა კომბოსტოს დარიგებას, ფუთი ღირს 200 მან. კომბოსტოს იძლევიან ავჭალის ქუჩაზე არსებულ მუშათა მაგიდის საწყობიდან.

— შრომის სამინისტრომ ახალციხის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების პროფესიონალურთა კავშირს გაუგზავნა 700 ფუთი ხორბალი და 350 ფ. ნავთი ახალციხისა და მისი რაიონის მუშათა და მოსამსახურეთათვის დასარიგებლად. ამას გარდა გაიგზავნა 500 000 მანეთი სურსათ სანოვაგის ადგილობრივად შესასყიდათ.

◆ **კოოპერატივთა რწმუნებულების ყრილობა.** გუშინ დილის 10 ს. უნდა გახსნილიყო სრულიად საქართველოს კოოპერატივთა რწმუნებულების ყრილობა, მაგრამ ტეხნიკური მიზეზების გამო ყრილობის გახსნა გადადეს საღამოსათვის. დილით კი შედგა ფრაქციების სხდომა, ჯერ ჯერობით ჩამოსულია 50-დე რწმუნებული.

◆ **ფრონტის დამხმარე კომიტეტის** ყველა სექცია მუშაობას შეუდგა. სექციისა და კომისიის მუშაობათა შესათანხმებლად და მოქმედების გასაერთიანებლად ნოემბრის 25 დამფუძნებელი კრების შენობაში შესდგება კომიტეტის სექციათა კრება. ამ სხდომაზე განხილება საკითხი მთავარ კომიტეტისა და რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის კომიტეტის მუდმივ ურთიერთ დამოკიდებულების დამყარების შესახებ.

◆ **სასურსათო ცხოვრება.** ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებამ შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდისათვის შეადგინა ანგარიში იმ გასავლისა, რომელიც დახარჯული იყო ხორბლის გასაწმენდათ, დასაფქვავად და მუშებისა და მოსამსახურეებისათვის პურის გამოსაცხობად. ეს ანგარიში შეიცავს მარტო ოქტომბრის გასავალს. ანგარიშის მიხედვით ოქტომბერში დაუხარჯავთ 8.981 432 მან. გასავლის ანგარიშში განყოფილებას მიუღია 6.022 300 მან. ოქტომბრის განმავლობაში პურის გამოსაცხობად გადაუციათ 36.748 ფუთი სხვადასხვა ფქვილი; გამოუცხვიათ 51.299 ფუთი პური მუშათა მაგიდის ორჯერებით დაურიგებიათ 50 571 ფ. 26 გირ. პური. გამომცხვარ პურს სულ მოუმატია 17.182 ფ. საშუალო ხელფასი ერთ ფ. პურზე უდრის 27 მან. და 17 კაპ. საშუალო გასავალი ერთ ფუთ გამომცხვარ პურზე უდრის 51 მან. და 27 კაპ.

◆ **იუსტიციის სამინისტრომ** საოლქო სასამართლოებს მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარეებს და ხელქვეით დაწესებულებებს შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა: საკანცელარიო მუშაობის წარმატებით წაყვანისა და ზოგიერთ ნაკლის თავიდან აშორების მიზნით წინადადებას გაძლევთ მიიღოთ ყოველგვარი ზომები, რათა თქვენ მიერ რწმუნებულ დაწესებულებათა მოსამსახურეები აუცილებლად ცხადდებოდნენ სამსახურში დანიშნულ დროზე. ცნობებს მთხოვნელებს უნდა აწვდიდნენ სასწრაფოდ და გარკვევით. მთხოვნელებს ყურადღებით უნდა მოეპყრონ. უწყების თანამშრომლებმა ლოდინარ და გამოუცდელ მთხოვნელებს უნდა აჩვენონ სათანადო გზა; სხდომები სასამართლოებში დანიშნულ დროზე უნდა იწყებოდეს. საერთოდ დაუყონებლივ უნდა მოისპოს საქმისადმი გულგრილი მოპყრობა და ბიუროკრატიული საქმის წარმოება“.

◆ **პრივილეგიების მინიჭება** ფინანსთა სამინისტროს ტეხნიკურ კომიტეტის სხდომაზე დაადგინეს პრივილეგიები მისცენ: 1) გ. ფლეიშერს სტრაბოსკოპის გამოყენებისათვის სახელმძღვანელოდ უმავთულო ტელეგრაფის სწავლების დროს; 2) ვ. გაბაშვილს უნივერსალურ ჯიბის დანის „უნივერსალის“ გამოგონებისათვის; 3) ფ. შვარცს—მილების ამოსაჭრელ მანქანის გამოგონებისათვის; 4) ა. ქუიველს გაუმჯობესებულ ავტომობილის „შინების“-ს გამოგონებისათვის. დასასრულ მოისმინეს კომისიის მოხსენება საწონ-საზომ პალატასთან შესაკეთებელ სახელოსნოს მოწყობის შესახებ. პროექტის ხარჯთაღრიცხვა მოიწონეს. ამასთანავე გადასწყვიტეს შუამდგომლობა აღძრან ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ მან ნება დართოს მთავრობის საწყობებიდან სახელოსნოსათვის საჭირო მოწყობილობის გამოტანისა.

◆ **საინჟინერო-სატეხნიკო განათლება.** ნოემბრის 23 რადიო-ტელეგრაფის გუნდთან ავტომობილისა და რადიო-ტელეგრაფის კურსები გაიხსნა.

◆ **სასოფლო-სამეურნეო პალატა.** მეღვინეთა და მევენახეთა ყრილობაზე აღიძრა საკითხი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პალატის დაარსების შესახებ. პალატის მიზანი იქნება მეღვინეთა და მევენახეთა, მეთამბაქოეთა, მეაბრეშუმეთა და მესაქონლე-მეცხვარეთა ყრილობების საბჭოთა გაერთიანება. პალატამ უნდა შექმნას ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების სხვადასხვა დარგებისათვის ერთი ცენტრი. ყოველი საბჭოთაგანი თავის მოქმედებაში დარჩება ავტონომიური. ამოირჩიეს საორგანიზაციო ბიურო, რომელმაც უნდა მოიწვიოს საბჭოთა წარმომადგენლების კრება სასოფლო-სამეურნეო პალატის დაარსების საკითხის შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ **საღამო.** მეექვსე რაიონის მუშათა კლუბში—(ბებუთოვის ქუჩა № 22) დღეს გაიმართება საღამო. წარმოადგენენ ყაზბეგის პიესას: „დილა ქორწილის შემდეგ“. შემდეგ გაიმართება დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ პოეტები, მახაროზები და დეკლამატორები. დასაწყისი 8 საათზე.

◆ **თბილისის მეტყევეთა პროფესიონალურ კავშირის** გამგეობა კვირას, 28 ნოემბერს, დილის 10 საათზე იწვევს დელეგატთა საბჭოს ყრილობას. ყრილობა გაიხსნება კავშირის ბიუროში. (მუშათა სასახლე, ოთახი № 21).

◆ **ა. ინაშვილის კონცერტი.** ერთხელ გადადებული კონცერტი ა. ინაშვილისა დანიშნულია ქართულ კლუბში შაბათს, 27 ნოემბერს. ა. ინაშვილი შესრულებს ქართულ რომანსებს და არიებს ოპერებიდან. მონაწილეობენ, ქ-ნი გლაზი—კამერული სიმღერა, ბ ხოდოტოვი—მელოდეკლამაცია. როიალთან—ბ. ა პროზოროვ კი. დასაწყისი 8½ საათზე.

◆ **დედათა და ბავშვთა საზოგადოების** სასარგებლოთ დანიშნული ყულაბებათ ფულის მოგროვება ცუდი ამინდის გამო, გადადებულია ვიდრე კარგი ამინდი არ დადგება.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს 25 ნოემბერს, სახ. ლ. სახ. არს. ქართ. წარმ. მმართვ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ღალატი“ ადგილ. ფასი სახალხოა.

კრებები.

დღეს, სღ. 6 საათზე, დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი კრება.

— დღეს 25 ნოემბერს საღამოს 6 საათზე დანიშნულია კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— მეორე რაიონული კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა შესდგება დღეს საღამოს 6 საათზე.

— დღეს, 25 ნოემბერს სღ. 5 საათ. შესდგება ს. ს.-დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა (კახეთის ქ. № 1).

— ხუთშაბათს, 25 ნოემბერს, დანიშნულია პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ქართველ სტუდენტთა საერთო კრება (მე 3 აუდიტორია, საღ. 8 საათზე). დასწრება ყველა ქართველებისა სავალდებულოა.

სტამბოლის ცნობები

ანგორის მთავრობაში დიდი მითქმა-მოთქმაა ბოლშევიკებისგან განცალკევების და ანტანტის ახალ წინადადებათა შესახებ.

— სტამბოლის მთავრობაში თევფიკ ფაშამ განაცხადა, რომ თუმცა ანგორიდან პასუხს დააგვიანდა, მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სრულ შეთანხმებას მივაღწევთ. სტამბოლის მთავრობა მოითხოვს ებრძანოს ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას სასწრაფოდ აღადგინოს ფოსტა-ტელეგრაფის მავთული ანგორასა და კონსტანტინოპოლს შუა.

— სტამბოლიდან გვატყობინებენ, რომ ბევრი კომერციული ფირმები, რომლებიც ბრიტანიის ჯარის წასვლისას ბათომიდან წავიდნენ, ამ მოკლე ხანში უკანვე ბრუნდებიან.

— სტამბოლში ხმაა გავრცელებული, რომ საქართველოს სესხის საქმე ევროპაში გამარჯვებით ჩატარდა.

— კონსტანტინოპოლის ყველა ბანკებში ქართულ ბონებს თხოულობენ. („ბ. ფ.“)

იაფ-ფასიანი და უებარი საშუალებანი ვირთაგვების მოსასპობლად

იმ საშიშროების წინააღმდეგ, რომლის წინ დღეს კაცობრიობა სდგას, როგორიც არის შავი ჭირის საფრთხე, ყოველი მოქალაქე ვალდებულია შეძლებისდაგვარად მიიღოს მონაწილეობა ამ საშინელი სენის წინააღმდეგ ბრძოლაში

21 ნოემბერს

სახალხო გვარდიის შეხვედრისას.

ქუჩის ხმაურში ინთქმებოდა სულის მეობა,
როცა უეცრივ თვალი მოვკარ წითელ რაინდებს;
ამოჩირაღდნდა საქართველოს ბედის მზეობა,
და იმედებმა გულში რწმენის ცეცხლი აინთეს.

დროშების ფრთებზე გაიშალა ფიქრი ნათელი:
გმირთა სახელი უკვდავების სხივით გზნებული,
ზღუდე მრავალი მედგარ ბრძოლით გადანათელი,
და გულ ამაყი, ცეცხლოვანი მხედართ კრებული...

დედა-ქალაქი შეიმოსა წითელ ფერებით,
და აღმობრწყინდა შორეული ქვეყნის დიდება...
ამ ღვთიურ რწმენით, უტეხ ბრძოლით, ამ სიმღერებით
მტერთა ურდოებს ძლევის ცეცხლი წაეკიდება!

სადარაჯოზე სდგას გუშაგი წითელ დროშებით,
ფოლადის რკალი გარს არტყია სამშობლოს კარებს.
და მშობლიური გატაცებით, შეზარხოშებით
ბედს აწყევლინებს შემოსეულ თავხედ მტრის ჯარებს.

სადარაჯოზე სდგას გუშაგი, ცეცხლიც ანთია,
და ქართლის ბედი უკვდავების სხივით ციალებს.
არის იმედი: მხედრობა და ჩვენი გვარდია!
სადარაჯოზე გამარჯვების დროშა ფრიალებს!..

ასე ამღერდა სული, როცა წითელ რაინდებს
თვალი მოვკარი აღმაფრენით და სიხარულით;
ტკბილ იმედებმა გულში რწმენის ცეცხლი აინთეს,
და ვთქვი „სალამი“! იდუმალი ნაზ სიყვარულით.—

ობოლი მუშა.

21 ნოემბერი, 1920 წ.

ბრძოლა მრავალ გვარია: არის მარტივი, ყველასათვის ხელმისაწვდომი საშვალება. დღეს არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს რომ უმთავრესი მიზეზი შავი ჭირის გავრცელებისა ვირთაგვები და სხვა კნ ტუნა პირუტყვები.

მათთან ბრძოლა ძნელია. უნდა გამოძებნილ იქნას საშუალებანი, რომელიც გაადვილებს ამ ბრძოლას. მე მსურს გავაცნო საზოგადოებას ერთი ამგვარი საშუალებათაგანი, რომელიც მიუხედავად დღევანდელი სიძვირისა, თითქმის არავითარ ხარჯს არ იწვევს და სარგებლობასაც მეტს იძლევა, ვიდრე ძვირად ღირებული და საფრთხილო საწამლავები.

აი ეს საშუალება: ცნობილია, რომ ვირთაგვებს ძლიერ უყვართ ფქვილი. მისი სუნი იზიდავს მათ შორე მანძილიდანაც. ამისთვის მათ „გამოსაძახებლათ“ ჩვენ უმთავრეს საგნათ უნდა ვიხმაროთ ფქვილი. მაგრამ ვინაიდან ფქვილის ხმარება ძვირად დაჯდება, ჩვენ ვიხმართ ქატოს, რომელიც, ამასთანავე პრაქტიკულად უმჯობესია. ქატოში უნდა აურიოთ წმინდა დაფხვნილი ქვა-კირი რომელსაც ჯერ წყალი არ მოხვედრია, ე.ი. უწყლოთ კირი (Calcium causticum) და დააპნიოთ მშრალ ადგილზე იქ, სადაც შემჩნეულია, რომ ვირთაგვები ან თაგვები გაჩნდენ. იქვე პატარა ფრიალა თასით წყალი უნდა დასდგათ, რომ მათ ადვილად შესძლონ წყლის დალევა. ქატოს სუნი ინსტინქტიურად იზიდავს ვირთაგვებს და ისინი ხარბათ დაუწყებენ მას ჭამას. ქატოსთან ერთად ისინი სჭამენ უწყლო კირსაც, რომელიც იწვევს საშინელ წყურვილს და ვირთაგვები გაფაციცებით დაეძებენ წყალს. წყლის დალევისთანავე კირი იშლება (შტება) და იწვევს კუჭში ტემპერატურის გაძლიერებას და აგრეთვე გაზს, რომელიც ბერავს მათ; რაც მეტ წყალსა სვამს, მით უფრო ემატება გაზი და ტემპერატურა. ვირთაგვა განიცდის სასტიკ ტანჯვას და ბოლოს კუჭი უსკდება და კვდება. ასე რომ, სორომდის მისვლასაც ვერ ასწრებს. ვსთქვათ, რომ კირი ვერ აღმოჩნდა უმაღლეს ხარისხის ღირსებისა და მან ვერ გამოიწვია საგრძნობი ტემპერატურა და გაზი; მაგრამ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ისიც. რომ ყოველი ცხოველის კუჭში საკმაოდ მოიპოვება ქლორის სიმჟავე ((acid Hidrochlorie) აი ეს სიმჟავე რომ შეუერთდება კირს, იგი აქცევს უკანასკნელს ქლორის კირად Calcinm chloratum, რომელიც გვირიანათ ძლიერი საწამლავია. ვირთაგვებისათვის კი მცირე საწამლავიც საკმარისია. შედარებით, ამ საშუალებას ის უპირატესობა აქვს, რომ სხვა რითიმე მოწამლული ვირთაგვები ასწრობენ სოროებში ჩაძრომას, იქ კვდებიან, იხრწნებიან და ავრცელებენ საშინელ სუნს, მაშინ როცა კირით მოწამლული იქვე იხოცება.

ამგვარად, ამ მარტივი და თითქმის უფასო საშუალებით ჩვენ შეგვიძლია სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოთ იმ მავნე ცხოველებს, რომელნიც, შავი ჭირის გავრცელების გარდა, დიდ ზარალს აყენებენ ადამიანებს, როგორც მაგალითად ყანების გაფუჭება და სხვა. ხოლო საჭიროა სიფრთხილე რომ შინაურმა ფრინველებმა არ შესჭამონ საწამლავი.

მე ეს პრაქტიკულად მაქვს გამოცდილი და ვსთხოვ ყველა საზოგადო დაწესებულებებს და კერძო პირთ გამოსცადონ ეს საშუალება და თავიანთი დაკვირვებები გამოაქვეყნონ პრესაში.

თადეოზ ალაძე.

რკინის გზაზე

18 ნოემბერს ბათომიდან № 4-ზე მატარებლით 2 კლასით მოვდიოდი. ჩემს პირდაპირ იჯდა ერთი ახალგაზრდა, რომელსაც ტანზე უბრალო და ძველი ტანისამოსი ეცვა. მას ღრმად ეძინა, როცა ამავე ვაგონის კონდუქტორი დალაქიშვილი მოვიდა, დაგვათვალიერა მგზავრები და, იცნო რა ეს ახალგაზრდა „დაბალ ლობეთ“, წამოკრა ხელი და უთხრა ადექი სხვა ადგილი მოსძებნე, აქ მე უნდა დავჯდეო. მგზავრიც დაემორჩილა დალაქიშვილის კატეგორიულ მოთხოვნას, ადგა და თან ჩაილაპარაკა: „ჩემს მეტი სხვაც ბევრია მგზავრები და რადა მაინც მე ამაყენაო, მაგრამ კარგი ტანთსაცმელი მეცვას, ამას ვერ გამიბედავდაო“. კონდუქტორმა მას რა თქმა უნდა ყურადღებაც არარ მიაქცია, მოიყვანა ვიღაც ნაცნობი და უთხრა, შენ აქ მოისვენეო. მგზავრმა მადლობა გადაუხადა.

საჭიროა ასეთ მოვლენას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

შალიკო ჭეიძე.

20 ნოემბერს, მე უნდა წამოვსულიყავი რკინის გზით სად. ნატანებიდან თფილისში. მგზავრების სიმრავლის გამო ბილეთები არ იყიდებოდა. მე, როგორც მოწაფე, უნდა გამოვცხადებულიყავი დანიშნულ დროზე სკოლაში თფილისში, ამიტომ ვსთხოვე სადგურის მორიგეს მოეყიდა ჩემთვის ბილეთი, მაგრამ ის გადაჭრილი უარით გამიმასპინძლდა.

ზოგიერთმა მგზავრებმაც სთხოვეს სადგურის მორიგეს ბარამაძეს და შემდეგ რევიზორს ბ-ნ აფაქიძეს, მაგრამ ამათ ყურადღების ღირსიც არ გაგვხადეს და დაუშვებელი სიტყვებითაც გაგვისტუმრეს, რის შემდეგაც მატარებელი დაიძრა და მეც სადგურზე დავრჩი. საჭიროა მოწაფეებისადმი მეტი ყურადღება.

ლეონტი ნიკოლეიშვილი.

სახალხო გვარდიაში

28 ნოემბერს სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონის გვარდიელები მართავენ საღამო-წარმოდგენას ამავე ბატალიონში ფრიდრიხ ენგელსის დაბადებიდან 100 წლის შესრულების აღსანიშნავათ. არჩეულია საღამოს მომწყობი კომისია.

სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონის გვარდიელები 28 ნოემბერს მოიგონებენ საერთაშორისო მუშათა ინტერესების დამცველს და სოციალიზმის მოციქულს ფრიდრიხ ენგელსს.

სახალხო გვარდია არ დაივიწყებს რევოლუციის მამა მთავარს, მის სულის ჩამდგმელ ფრიდრიხ ენგელსს და განაცხადებს საქვეყნოდ, რომ ის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს რევოლუციის ნაანდერძევ წითელ დროშას.

გვარდიელი ე. ბროკიშვილი.

დ. ჩოხატაური (გურია). 7 ნოემბერს შესდგა ჩოხატაურის რაიონული სახალხო გვარდიის შტაბის მუდმივი და სათადარიგო გვარდიელთა კრება. კრებამ, მოისმინა რა მოხსენება სახალხო გვარდიის მეორე ყრილობის შესახებ დ. შარაშიძისა, ყრილობა სავსებით იზიარებს და მიზან შეწონილათ მიაჩნია კონფერენციის ყველა დადგენილება და ვალად იდებს მიიღოს ენერგიული ზომები მათი ცხოვრებაში გასატარებლათ.

ამის შემდეგ მოხდა გურიის საოლქო შტაბის წევრების ასარჩევათ დელეგატების არჩევა. არჩეული იქნა 11 დელეგატი. ს. წერეძე, გ. ჯიბლაძე, დ. შარაშიძე, მ. ელიავა, პ. ჩხიკვაძე, პარ. ჩხიკვაძე, გ. ცინცაძე, გ. ცენტერაძე, ქ. შარაშენიძე, ნ. ბერიძე და ი. სიმონიშვილი. კანდიდატებათ: ვ. რამიშვილი, ი. თავბერიძე და სტ. მეგრელიშვილი.

შემდეგ შტ. თავმჯდომარემ მიიღო დეპეშა მობილიზაციის შესახებ, რომელიც გააცნო კრებას და დანიშნა მობილიზაციის დღე.

გვარდიელი.

უცხოეთი

გერმანია.

დამოუკიდებელთა ყრილობის უკანასკნელი სხდომა. იმის შემდეგ, რაც უმრავლესობამ მიიღო მე-3 ინტერნაციონალთან შეერთების წინადადება უმცირესობამ აღარ უყარა კენჭი თავის რეზოლიუციას და განაცხადა, რომ პარტია ორ დამოუკიდებელ ნაწილათ გაიყო, და ერთ ამ ნაწილს არაფერი საერთო აღარა აქვს გერმანიის დამოუკიდებელ სოციალ დემოკრატიულ პარტიასთან, „ვოლია როსსიი“-ს კორესპონდენტი ასე გადმოგვცემს ამ მომენტს:

„კრისპიენის განცხადების შემდეგ უმცირესობამ ინტერნაციონალის სიმღერით დასტოვა დარბაზი. მეტად საგრძნობი გახდა ის აღელვება, რომელმაც მოიცვა ყველანი... ბევრს თვალებზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი, ზინოვიევი—ფეხზე იდგა და ირონიულათ იღიმებოდა. მან გააკეთა თავისი საქმე—განხეთქილება შეიტანა გერმანიის დამოუკიდებელ პარტიაში, გერმანიის პროლეტარიატის და გერმანიის რევოლუციის ცოცხალ ძალების რიგებში.

მე გავედი დარბაზიდან დამოუკიდებლებთან ერთად. კომუნისტებთან დარჩა პრესის წარმომადგენლების ნაწილი. მე გავიგე, რომ დამოუკიდებელთა წასვლის შემდეგ სიტყვა მიეცა ზინოვიევს, რომელმაც მიულოცა დარჩენილთ მე-3 ინტერნაციონალში შესვლა, სთხოვა დაუყონებლივ ამოერჩიათ წარმომადგენელი მე-3 ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში და განაცხადა, რომ ყოველივე რასკოლი კი არ არის ძალთა შესუსტება და უბედურებაო. ეხლა, როდესაც წავიდენ ეს „ბურჟუაზიის აგენტები“—თქვენ შეგიძლიანთ გააძლიეროთ თქვენი რევოლუციონური გავლენა მასებზე.

წასულ „ბურჟუაზიის აგენტებს შორის“ არიან გერმანიის პროლეტარიატის ყველა ძველი ბელადები. კომუნისტებს არა ჰყავთ არც ერთი გამოჩენილი პირი. ზინოვიევმა წინადადება მისცა მათ დაუყონებლივ შეერთებოდნენ კომუნისტურ პარტიას.

ინგლისი.

ინგლის-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობა. 27 ოქტომბერს თემთა პალატაში ბონარლოუმ კატეგორიულად განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობა მზათაა განაახლოს სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან იმ პირობით, თუ საბჭოთა მთავრობა დაუყოვნებლივ განთავისუფლებს ინგლისის ტყვეებს. ბონარ ლოუს განცხადებიდან სჩანს, რომ მოთხოვნილება—ბოლშევიკებისაგან ინდოეთში და თვით ინგლისში პროპაგანდაზე უარის თქმისა, მოთხოვნილება, რომელიც წამოაყენა ლორდმა კერზონმა 30 ივნისს—ეხლა უკან არის დაწეული. ცხადია, რომ ინგლისის მთავრობას არა აქვს შიში როგორც ლენინის აგენტების მოღვაწეობისა ლონდონში, ისე ბოლშევიკურ ინტრიგებისა—მცირე აზიაში—სპარსეთში და ავღანისტანში.

ბონარ-ლოუმ, სხვათა შორის, სთქვა, „ბრიტანეთის მთავრობა მუდამ სასურველად სთვლიდა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას. ასე იყო წარსულში. განსაკუთრებით სასურველია ეს ეხლა—ვაჭრობის. საერთო შეჩერების გამო. ჩვენ უსათუოდ არაფერს არ გავაკეთებთ ისეთს, რაც ხელს შეუშლიდა რუსეთთან ვაჭრობის აღდგენას“.

სემულმა მისცა კითხვა: მართალია თუ არა, რომ ინგლისის ყველა სავაჭრო პალატებმა უარი განაცხადეს რუსეთთან ყოველგვარ ოპერაციებზე მანამ, სანამ უკანასკნელი არ სცნობს ომამდე აღებულ სესხებს.

ბონარ-ლოუმ შესწყვიტა კამათი და განაცხადა: „მე არ ვფიქრობ, რომ ამ კამათმა მოიტანოს რაიმე სარგებლობა. სხვა ქვეყნები უკვე შესდგნენ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის გზაზე. ინგლისმა უნდა ამოსწუროს ყოველი შესაძლებლობა, რომ მიიღოს ამ საქმეში მონაწილეობა.

პანკხორსტის წერილი ლენინთან. 25 ოქტომბერს ლონდონში დატუსაღებულ ბოლშევიკების შიკრიკს აღმოაჩნდა შემდეგი წერილი სილვია პანკხორსტისა ლენინის სახელზე: „ძვირფასო ამხანაგო! აქ მდგომარეობა თანდათან იცვლება რევოლუციის მიმართულებით, მაგრამ, თავის თავად ცხადია, ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან შორსა ვართ რევოლუციისაგან. ხდება ხელახალი მობილიზაცია და შეიარაღება ყოფილ ჯარისკაცების, მაგრამ არ უნდა გავაზვიადოთ ამ გარემოების მნიშვნელობა. ეს კიდევ არ არის ისე საკვირველი... წარსულ კვირაში ორშაბათს უმუშევრებმა დაამტვრიეს ფანჯრები და დაიტაცეს ძვირფასი ნივთები იმ დროს, როდესაც ლონდონის მერებს მიჰყავდათ ისინი ვესტმინსტერის სასახლისაკენ (პარლამენტისაკენ). ჩვენი კომუნისტური პარტია არ არის იმდენათ ძლიერი და გამბედავი, რომ ამაღლდეს მომხდარ ამბების დონემდე. „დრედნოუტში“ (ჟურნალია, რომელსაც სცემს პანკხორსტი) მე შევეცადე უფრო გამბედავი პოლიტიკის სასარგებლოთ აგიტაციის დაწყება და ვაპირებდი აგრეთვე ამ საკითხის დასმას აღმასრულებელ კომიტეტში, მაგრამ ხუთშაბათს მე დამატუსაღეს. გამანთავისუფლეს მხოლოდ რამოდენიმე ათასი გირვანქა სტერლინგის შეტანის შემდეგ. და იმ პირობით, რომ ჩემს წინააღმდეგ აღძრულ საქმის დამთავრებამდის, რომელიც გაირჩევა ხუთშაბათს, თავს შევიკავებ ყოველივე ურთიერთობისაგან და შეხვედრისაგან იმ პირებთან, რომლებთაც აქვთ დამოკიდებულება ჩემ ჟურნალთან. ამგვარათ, მე მხოლოდ არაპირდაპირი გზით შემიძლია ვიქონიო მათთან კავშირი. მე მომელის 6 თვის ციხე. მე ვაპირებ შიმშილობის გამოცხადებას, მაგრამ ვშიშობ, რომ ეს საშუალება არ იქონიებს არავითარ გავლენას მთავრობაზე, რომელიც იძულებულს ხდის ირლანდიელებს შიმშილით დაიხოცნენ ციხეში. მე უფრო ნაკლები გავაკეთე, ვიდრე მოველოდი, რადგანაც მეტად ბევრი უსიამოვნება გადავიტანე დაბრუნების შემდეგ.

სანამ უნდა იცრუოთ?

(პასუხი რუსულ-ქართულ „კომუნისტს“).

მკითხველს გარგათ მოეხსენება ის გაუგებრობა, რომელმაც გამოიწვია 14 ნოემბერს მეპურეთა კავშირის წევრთა საზოგადო კრებაზე ბოლშევიკების „გამარჯვება“. ეს გაუგებრობა იმდენათ აშკარა და თვალსაჩინო იყო, რომ, წარმოიდგინეთ, თვით კომუნისტებმაც კი უხერხულად იგრძნეს თავი და 21 ნოემბრის საზოგადო სხდომაზე კომუნისტურმა გამგეობამ აღიარა ხელახალი არჩევნების აუცილებლობა. ეჭვი არ არის, პირველი „გამარჯვება“ დიდ საბუთს აძლევდა ქართველ კომუნისტებს ეყვირათ, რომ მთელი ქართველი მუშები კომუნისტებია, მაგრამ მათ საშუალება არა აქვთ თავისი აზრის გამომჟღავნების. 21 ნოემბრის სხდომამ კი კომუნისტებს ცოტათი გამოაცალა ეს სადემაგოგიო მასალა და აი, ამის გამო სიმწრით გაბრაზებულნი და უხერხულობიდან თავის დასაღწევად ორივე—რუსული და ქართულ „კომუნისტი“ მოზრდილ მოწინავეებს უძღვნიან მეპურეთა კავშირის გამგეობის არჩევას. კომუნისტებს ხომ არ სჩვევიათ სიცრუისა და სიყალბისათვის გაწითლება, მაგრამ მაინც მსურს შევეკითხო მათ: რომელ სიას მისცეს ხმა დაშნაკელებმა და ესერებმა?

ყველასათვის აშკარა იყო, რომ ბოლშევიკებს დაშნაკელებთან და ესერებთან ქონდათ ბლოკი, მაგრამ „გულმა შეგდავე, გამოლმა შეგრჩებაო“ ნათქვამია და კომუნისტებიც ამ გზას ადგანან, აშკარა სიცრუეზეა აშენებული სხდომაზე მომხდარი ინციდენტის შესახებ „კომუნისტი“-ს ახსნა-განმარტება. საქმე შემდეგში იყო: საზოგადო კრებამ დაადგინა, ხმის მიცემის დაწყების შემდეგ დარბაზში შემოსულთ უფლება არ ექნეთ ხმის მიცემისა. იმ დროს, როცა ხმები შეგროვილი იყო და საარჩევნო კომისია ითვლიდა, სცენაზე ამოდის ორი ახალგაზრდა და ითხოვენ ხმის მიცემის უფლებას. თავმჯდომარე ელბაქიძე უმარტავს მათ, რომ კრების დადგენილების თანახმად, მას უფლება არა აქვს ხმის მიცემის საშუალება მისცეს მათ. ახალგაზრდა ეუბნება: „მე პირველ ნომერს მინდა მივცე ხმა და ნუ მომაკლებთ ამ საშუალებას“-ო, თავმჯდომარე ეუბნება: „ჩემთვის სულ ერთია: გინდ პირველ ნომერს მიეცით ხმა, გინდ მეორეს, მე კრების დადგენილება მომყავს სისრულეში და მას ნებას ვერ დაგრთავთ“-ო. ამის შემდეგ თავმჯდომარე სთხოვს მას სცენიდან ჩავიდეს. ეტყობოდა ახალგაზრდას ნერვების დაჭიმვა სურდა—ჩხუბის გუნებაზე იყო. მან უპასუხა ბოლშევიკური თვალის ბრიალით: „მე თქვენ ძალით ვერ გამაგდებთ აქედან. თუ საჭიროდ დავინახამ, თვით მე ჩავალო“. ბოლოს თავმჯდომარის ხვეწნით ის სცენიდან ჩავიდა. მაგრამ აი, ხმები დაითვალეს და ზოგიერთი ხმა საკამათოდ გახდა.

ამ დროს ეს „გმირი“, თურმე ბოლშევიკი, ამოვარდა სცენაზე და აცხადებს, რომ მან თავმჯდომარე მოატყუვა და ის მეორე ნომერს აძლევს ხმას. საზოგადოება აღელდა და მოითხოვა მისი დარბაზიდან გაგდება, როგორც მატყუარისა. ის სცენიდან არ ჩამოდის. მასთან მიდის ერთი ახალგაზრდა და სთხოვს სცენიდან ჩავიდეს. „გმირმა“ გაიწია მოწინააღმდეგისაკენ და შემდეგ მოხდა ის არა სასიამოვნო ამბავი, რაზედაც „კომუნისტი“ ასე წყრება.

თვით მკითხველი საზოგადოება გაარჩევს და დააფასებს ამ მომხდარ შემთხვევას. მენშევიკებისათვის არც სასურველია ასეთი წევრები მათ პარტიაში იყვნენ; ასეთები ხომ ბოლშევიკებს სჩვევიათ და მათთვის დაგვილოცნია. მხოლოდ გეკითხებით სანამ უნდა იცრუოთ?

დამსწრე.

ბათომი

— საგანგებო რაზმის უფროსის განკარგულებით დატუსაღებულ იქმნა ამ დღეებში არა ლეგალურად დაარსებული „მეზღვაურთა“ კავშირი, რომელიც რესპუბლიკის მეზღვაურთა კავშირს არ ექვემდებარებოდა და აგრეთვე გემზე აღმართა ბოლშევიკური დროშა საბჭოთა კონსულის წინადადებით. დატუსაღებულნი გაიგზავნენ ქ. ქუთაისის ციხეში.

— ქალაქში გრძელდება საეჭვო პირთა დატუსაღება.

— მობილიზაცია ბათომში გრძელდება 25 ნოემბრამდე.

— მოვიდა 22 ნოემბერს გემი „კონსტანტინე“, რომელიც ბერძენ ლტოლვილთ წაიყვანს სალონიკში. ამ დღეებში გემი „პოტია“ საბერძნეთში წაიყვანს ბერძენ ლტოლვილებს.

— ნოემბრის 20-ს საღამოს 8 საათიდან მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს, ქალაქის მოურავის და მეჯლისის წარმომადგენლების თანდასწრებით სასწრაფო თათბირი ჰქონდა სასურსათო საკითხის მოგვარების და საზოგადოდ ოლქის სურსათით უზრუნველ ყოფის შესახებ.

— მთავრობის რწმუნებულის კაბინეტში ამავე დღეს მოხდა მცირე თათბირი ქალაქში საბინაო სარეკვიზიციო ნიადაგზე უკმაყოფილებათა წარმოშობის გამო. თათბირმა დაადგინა სარეკვიზიციო კომისია გაუქმდეს, მის მაგივრად დაარსდეს საბინაო კომისია, რომელსაც ექნება ბინათა წინასწარ დათვალიერების შემდეგ შესახლების უფლება. შესახლება მოხდება მხოლოდ სახელმწიფო მოხელისა. ეს კომისია იმუშავებს სულ რამდენიმე კვირას, ვინაიდან ახლა უბინოთ დარჩენილთა რიცხვი მეტად მცირეა და დაექვემდებარება მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს. შემდეგ კი ასეთი კომისია სრულიად გაუქმდება და საბინაო საკითხი გადაეცემა ქალაქის თვითმართველობას. („ბ. ფ.“)

— ტრაპიზონში ქემალისტებს ორი ჰიდროპლანი ჰქონიათ, რომელნიც ყოველ დღე ანატოლიის სანაპიროებზე დაფრინავენ და სდარაჯობენ მოთარეში და საეჭვო გემების გამოჩენას. მათ უკვე რამდენიმე ნალმისანი და საკონტრაბანდო საქონლით დატვირთული გემები დაუტყვევებიათ.

— გონიის რაიონში კომისარმა შეიპყრო არა სანდო პირები: შაქარ შალიშვილი და პირად მემედ ყიდიშვილი. გაჩხრეკის დროს მათ აღმოაჩნდათ სამხახნიანი თოფ-ვაზნებით, პარაბელიუმის სისტემის რევოლვერები. ორივე შეპყრობილნი ბათომის ოლქის ციხეში მოათავსეს.

— ქალაქის მოურავემ გ. ანჯაფარიძემ საბჭოს სთხოვა ჯარისკაცთა და იმათ ოჯახების დამხმარე საზოგადო კომიტეტის დაარსება და საბჭომ წინადადება მიიღო და აირჩია მთავარი კომიტეტი შემდეგი პირებისაგან: ო. ი. რამიშვილი, გ. ა. ანჯაფარიძე, ა. მნდოიანცი, ნ. საბაევი, ვ. ლოლუა, ა. დიმიტრიადი. ამ კომიტეტს დაემორ-

ჩილება ყველა კომიტეტები და ორგანიზაციები, რომლებიც არსებობენ, ან შემდეგში მოეწყობიან ამავე მიზნებით ქალაქში, გინდ ოლქში.

— ფორთოხლის მოსავალს წელს კარგი პირი უჩანს, მხოლოდ სიცივე უშლის დამწიფებას.

— ჭაობიან ადგილების დაშრობის მუშაობის დასაწყებად საბჭომ მოიწვია ინჟინერი დ. დ. სვიშჩევსკი თვიურად 50 ათასი მან. ჯამაგირით. („ს. ს.")

სენატში

1920 წლის ნოემბრისა 25 დღესა სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულო სასამართლო სხდომაში განსახილველად დილის 10 საათზე დანიშნულია შემდეგი საქმეები:

1) საკასაციო საჩივარი ბრალდებულ გიორგი დავითისძე ფუცხვერიასი, თფილისის სასამართლო პალატის 1920 წ. 7 მაისის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული ცნობილია დანაშავედ თანახმად 1 3. 1666 მ. სის. კ. დებ.

2) საკასაციო საჩივარი სამსონ სირაძისა, შორაპნის მაზრის სამომრიგებლო ოლქის ყრილობის 1919 წლის 29 სექტემბრის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული ტატე ივანეს ძე მარგველაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავეთ რისთვისაც მისჯილ მას ორი თვით ციხეში დაპატიმრება, მაგრამ დაზარალებულის გამოუცხადებლობის გამო საქმე მოსპობილ იქნა.

3) საკასაციო საჩივარი იაკობ როსტომის ძე იერემეიშვილისა, ქუთაისის სამომრიგებლო ოლქის ყრილობის 1920 წლის 30 მარტის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებულს იერემეიშვილს თანახმად 156, 158 და 168 172 მ. ს. ს. წ. წ. და 142 მ. სის. წეს. მისჯილი აქვს ერთი თვის მაგიერ 5 დღით დაპატიმრება.

4) საკასაციო საჩივარი ბრალდებულთ მარიამ ისრაელოვის და მართა ედილაშვილის დამცველის ნაფ. ვექ. ანდრია იპოლიტეს ძე ტატიშვილისა, თბილისის სამომრიგებლო ოლქის ყრილობის 1920 წ. 4 მაისის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებულნი დანაშავედ არიან ცნობილი თანახმად 16 მუხ. სის. წეს.

5) საკასაციო საჩივარი ფაიბასი და ოთარ და აკაკი ზვანბაიასი სოხ. ოლქის სას. განაჩენზე, რომლითაც იგინი ცნობილ არიან დამნაშ. ს. დ. 1629 და 1632 მ. გეთვ. ბოროტმოქმედ.

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების 1920 წლის 26 ნოემბრის საჯარო სხდომაზე განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა.

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1) საქმე გარდაცვალებული მაშადი გულამ ოღლი შარიფოვის ობლების პირონების და ქონების მოურავეობის რაჰიმ ალიევთან ანგარიშ. ს მოთხოვნის თაობაზე.

2) საქმე აბრამ პაპუაშვილის დიმიტრი მოლოშვილთან მამულის თაობაზე.

3) საქმე გარდაცვალებულ არჩილ ბრეგაძის ობლების და ქონების მოურავის—თეოდოსი ბრეგაძის ზარბალე პოდკოლზინთან ადგილის თაობაზე.

4) საქმე მურზა ნოდიას და ფარნა ნოდიას პეტრე, დიმიტრი, ექვთიმე, პორფილე ქობოლაევებთან და ანდრია ჯანჯღავასთან გზის თაობაზე.

5) საქმე მიხეილ ქლენტის, ჯიმშეთი გიორგაძის და აბბაკო ცინცაძის იესე ჩიგოგიძესთან 4000 მანეთის თაობაზე.

6) საქმე ბესარიონ ბექაიას კიმოთე ბექაიასთან გზით სარგებლობის თაობაზე.

7) საქმე სტეფანე ძმანაშვილის ნიკა მაისაშვილთან 3600 მანეთის თაობაზე.

8) საქმე სპირიდონ და ვლადიმერ აბაშიძეების და დარეჯან ქავთარაძის დავით აბაშიძესთან წისქვილის შემოსავლის ¼ თაობაზე.

9) საქმე გარდაცვალებულ ალავერდი ნატროშვილის ობლის და ქონების მოურავის ბესო ნატროშვილის ანეტა ნატროშვილთან 1310 მანეთის თაობაზე.

10) საქმე ნიკო ჰქაძის და გარდაცვალებულ ვასილ ჰქაძის ობლის და ქონების მოურავის ივანე ჰქაძის თედო და მესიკო ალულიშვილებთან მამულის თაობაზე.

პროფესიონალურ კავშირებში

ამ კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ შრომის კომისარი, შრომის სამინისტროს ექ. მი, მრეწველობის ინსტრუქტორი და მეტყავეთა კავშირის მდივანი, 6 ნოემბერს, დაათვალიერა დაბახანის ტყავის დამამუშავებელი აზიური სახელოსნო „დაბგები" რომელიც მოთავსებულია ვარანცოვის ქუჩაზე. კომისიის აზრით ძნელი წარმოსადგენია იმაზე უფრო მძიმე პირობები, რომელშიაც მიმდინარეობს მუშაობა ამ სახელოსნოებში. ორას კაცამდე მუშაობენ ნესტიან, ბინძურ ბინაზე, რომელიც მოკლებულია სინათლეს. არ ხდება ოთახის გაწმენდა, რის გამო საშინელი მძიმე ჰაერი გაზისებურ ნივთიერებასთან არის შეერთებული. სახელოსნოებში არ არის არავითარი მექანიკური საშუალებები ტყავების გასაწმენდად, გასაწურავად. მათ გადასაზ დით და სხვა.

მძიმე პირობებში ხდება ტყავის გარეცხვა მდ. მტკვარში. რომ ცოტა მაინც შეემსუბუქდეს მუშებს მდგომარეობა, კომისია აუცილებლად სცნობს გატარებულ იქნას ცხოვრებაში შემდეგი ზომები: 1) დროებით შეზღუდულ უნდა იქნას მუშაობა, რომ მოხდეს ბინის გენერალური გაწმენდა, შემდეგში ბინას და ეზოს გაწმენდა უნდა მოხდეს ყოველ დღე. 2) უნდა მოეწყოს ელექტრონის ან სხვა განათება სახელოსნოებში. 3) ყველა ბინებში უნდა მოეწყოს ვენტილიაცია და ჩადგმულ იქნას გატეხილი შუშები. 4) მოეწყოს განსაკუთრებული ქვაბები სამუშაოსათვის წყლის გასათბობათ; 5) წყალში მომუშავეთ უნდა მიეცეთ ისეთი ტანისამოსი, რომელშიაც წყალი ვერ გავა; 6) „ჩანებში" მომუშავენი ტყავის გასარეცხათ არ უნდა მუშაობდენ ცის ქვეშ და მტკვარში; 7) უნდა მოეწყოს მექანიკური საშუალებები სამუშაოთ; 8) მუშებისათვის უნდა მოეწყოს ტანზე გასახდელი ოთახი, რომელიც უშუალოთ შეერთებული იქნება სახელოსნოსთან; 9) გამოყოფილ უნდა იქნას განსაკუთრებული ოთახი სასადილოსათვის და პურისა და ადუღებული წყლის დასაბინავებლად; 10) უნდა გასწორდეს იატაკი და წყლის გამოსასვლელი ხვრელი—უნდა შეკეთდეს პატარა ფეცრებით.

ხსენებულ ზომების ცხოვრებაში გასატარებლად ადმინისტრაციას მიეცა ორი კვირის ვადა.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 18 ნოემბერს, ამხ. ს. ვაშაკიძის თავმჯდომარეობით შესდგა მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან, 2) მოხსენება სახალხო გვარდიის მთავარ სახელოსნოში მცირე კოლექტივის დაარსების შესახებ, 3) საწევრო გადასახადების შესახებ.

პირველი კითხვის შესახებ სხდომამ მოისმინა ამხ. უ. ელიავას მოხსენება თფილისის კომიტეტის უკანასკნელი დღეების მუშაობის შესახებ, მოკლეთ შეეხო იქ განხილულ საკითხს, გაზ. „ახალი სხივის" შესახებ, მაგრამ საკმაო აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სხდომამ ეს კითხვა გადასდო თფილისის კომიტეტის მიერ მოწვეულ სხდომაზე განხილვამდე.

მეორე კითხვის შესახებ, სხდომამ მოისმინა მდივნის მოხსენება სახალხო გვარდიის მთავარ სახელოსნოში მცირე კოლექტივის დაარსების შესახებ და მიიღო ის მხედველობაში.

საწევრო გადასახადის შესახებ, თანახმად მდივნის მოხსენებისა სხდომამ დაადგინა: ვინც 10 დეკემბრამდე არ განაახლებს პარტიის წევრობას, მიმდინარე წლის საწევრო გადასახადის შემოტანით, ყველა ისინი გარიცხული იქნებიან პარტიიდან და მათი სახელი და გვარი გამოცხადებული იქნება პარტიულ ორგანოებში. სხვა დღიურ წესრიგში მყოფ კითხვებს სხდომა სდებს მორიგ სხდომისთვის და რიგს გარეშე ისმენს მომარაგების სამინისტროს წარმომადგენლის ამხ. ალ. ზახუტაძის მოხსენებას მომარაგების სამინისტროს მუშაობის შესახებ, მომხსენებელი ეხება მომარაგების სამინისტროს მუშაობას-განსაკუთრებით მუშათა მაგიდის მდგომარეობას აღნიშნავს ამ პირობების სირთულეს, რომელშიაც სამინისტროს უხდებოდა მუშაობა და იმ შედეგს, რომელიც მან ისეთ მძიმე პირობებში მიაღწია, და დაასკვნის, რომ რაც გაკეთდა, ეს მაქსიმუმია იმისა, რის გაკეთებაც შესაძლებელი იყო. მოხსენების დამთავრების შემდეგ იყო შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა. არსებითად კამათი გადაიდო მორიგ სხდომისთვის. მორიგი სხდომა მოწვეული იქნება, ხუთშაბათს, საღ. სრულ 6 საათზე, რომელზედაც დასწრება შეუძლიათ, გარდა კოლექტივის წევრებისა, მოწინავე ამხანაგებსაც.

X.

ზემო-გომი (ქართლი) 13 ოქტომბერს შესდგა ზემო გომის სათემო სოც.-დემ. ცენტრალური კოლექტივის მორიგი სხდომა ამხ. ვ. ესვანჯიას თავმჯდომარეობით.

იაჩეიკების განახლება-დაარსების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ქ. ლომიძე. მომხსენებელი აცნობს კრებას, რომ ძველი იაჩეიკები სრულიად აღდგენილია და აგრეთვე დაარსებულია ახლებიც.

თავის უკანასკნელ სიტყვაში ამხ ესვანჯია ეხება სრულიად უსაფუძვლო ხარჯების მოსპობას და ამბობს: ხალხი მატერიალურად ნადგურდება მრავალგვარი უსაფუძვლო ხარჯების წყალობით. როგორიც არის: ქელეხები, წირვები, ურადები და სხ. ჩვენს პარტიას საჭირო მიაჩნია ამგვარი ხარჯების მოსპობა და ეწევა კიდეც ამ ნიადაგზე საჭირო პროპაგანდას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ჩვენ ვფიქრობთ თემებმაც თავის მხრივ უნდა მიიღონ სასტიკი ზომები რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. ყველაზე უკეთესი კი იქნება, რომ ცენტრალური კომიტეტი დააყენებდეს ამას საკითხად სადაც ჯერ არს, რომ სურვილი ზემოთ აღნიშნული ხარჯების მოსპობისა იქცეს კანონად.

დასასრულ კრებამ მიიღო ყველა საკითხებზე შესაფერი რეზოლიუცია. —

ხარდალი.

მუშათა შორის

თფილისი. 22 ნოემბერს შესდგა ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობის სხდომა, რომელმაც განიხილა მუშათა კლუბის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი და დაადგინა: გამართულ იქნეს დიდი საღამო კლუბის სასარგებლოთ, სალიტერატურო განყოფილებისთვის მოწვეულ იქნეს მგოსნები: გ. ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე და ხ. ვარდოშვილი. საღამო უნდა გაიმართოს შაბათს, 27 ნოემბერს. ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად გამგეობამ აირჩია კომისია, რომელმაც უნდა მოაწყოს საღამო. დასასრულ გამგეობამ განიხილა განცხადებები, რომლიც შეეხებოდა მუშათა კლუბის თეატრის დათმობას იუსტიციის სამინისტროს ათასეულის უფროსისათვის. გამგეობამ დაადგინა მიეცეს ათასეულის უფროსს სათეატრო დარბაზი 23 ნოემბრისთვის. თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ქართულ მომღერალ მგალობელთა გუნდის გამგეობის განცხადებაზე, მუშათა კლუბის გამგეობა ადგენს: სათეატრო დარბაზი დაეთმოსთ მათ ახლობელ თავისუფალ დღეებში.

ვერხვი.

ბ თომი. მუშათა მაგიდის გამგემ განკარგულება მოახდინა ყველა იაფ-ფასიან სასადილოებისადმი, რათა მილიციონერებს სადილის მიცემის დროს მოსთხოვონ მილიციაში სამსახურის მოწმობა. ეს გამოწვეულია მილიციონერების მხრივ მასიურ ბოროტმოქმედებით, რომლებიც თავიანთ ბარათს სხვა, კერძო პირებს აძლევდენ.

მუშათა მაგიდას განზრახული აქვს მოაწყოს იაფ ფასიანი სახაჯო. ამ მიზნით მან 4.700 სხვადასხვა მუშის ქურჯლეულობა შეუკეთა ბორჯომის მამულის მუშის ქარხანას.

შრომის სამინისტრომ წინადადება მისცა მუშათა მაგიდას, რათა უკანასკნელმა აცნობოს მას სურსათ-სანოვაგის რაოდენობა, რომელიც საჭიროა მუშა-მოსამსახურეებისათვის, დაარიგებლათ, რომ შრომის სამინისტროს საშუალება ექნეს მიიღოს ასეთი მომარაგების სამინისტროდან.

— 13 ნოემბერს შრომის ბირჟაში იყო 29 კაცი (13 მამაკაცი და 16 ქალი), ახლად ჩაეწერა 6 კაცი (4 მამაკაცი და 2 ქალი). მოთხოვნილია სამუშაოზე 16 მუშა.

— ქვარცხანის სპილენძის ქარხნის დირექტორმა შუამდგომლობა აღძრა სატარიფო პალატის წინაშე, რათა ქარხნისა და მაღაროს სხვადასხვა კატეგორიის მუშებისათვის დაწესებულ იქნას განაზღვრული ჯამაგირები. სატარიფო პალატამ მიმართა ბათომის ოლქის შრომის კომისარს, რომ მან დაჩქარებით მიაწოდოს სატარიფო პალატას თავისი დასკვნა ქვარცხანის ქარხნის დღიურ და თვიურ მუშა-მოსამსახურეთა შრომის ხელფასის შესახებ. 15 ნოემბერს თანახმად შრომის სამინისტროს მიწერილობისა შესდგა თათბირი ქვარცხანის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირების შესახებ. დაესწრნენ: პროფ. კავშირთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. [illegible], შრომის კომისარი ა. წულაძე, შრომის ბირჟის გამგე კულიკოვი, ქარხნის წარმომადგენელი კაშჩენკო, მშენებელ მუშათა წარმომადგენელნი ბორინი და კრასნოვი და ლითონზე მომუშავეთა წარმომადგენელი ბოკუჩავა.

თათბირი სცნობს ქვარცხანის ქარხანაში მუშაობას უფრო სიმძიმით, ვინემ ბათომში. კაშჩენკოს განცხადებით ქარხანის მუშაობის დაწყებიდან მუშა-მოსამსახურეთ არ მიუღიათ განსაზღვრული ჯამაგირი, ვინაიდან ასეთი არ იყო დაწესებული სატარიფო პალატის მიერ. თათბირი ერთხმად ადგენს ეთხოვოს შრომის კომისარს სეკრეტარიატის წარმომადგენელთან ერთად გამოარკვიოს ეს საქმე ადგილობრივად და შემდეგ მისცეს სატარიფო პალატას გადაჭრილი პასუხი.

პროვინცია

ცხინვალი. 13 ამ თვეს ცხინვალში დაატყვევეს ამ რაიონის ტყის მცველი დადიანი. მას აღმოაჩნდა გაფლანგული სახაზინო ნახევარი მილიონი მანეთი და ხუთას ფუთამდე ხორბალი. ის ამ ორი თვის წინათ აქ მოვიდა გაცვეთილ-დაგლეჯილ ტანისამოსით. ერთი თვის შემდეგ მოსვლისა შეიმოსა საუკეთესო ტანისამოსით და თან დუქნებში ყოველ დღე ხარჯავდა ათასობით. ეს „ვაჟბატონი" უნდა ქალაქში გაეგზავნათ ეტაპით, მაგრამ მან აქაც თვალთმაქცობა იხმარა, მოატყუა ადგილობრივი კომისარი; უთხრა ცოტა ხანს გამიშვი სახლში ლოგინს შევკრავ და ახლავე მოვალ. ის იყო და ის, მიიმალა და აგერ ორი დღეა დეძებენ მაგრამ მისი ასავალ დასავალი ვერ გაუგიათ. ზომები მიღებული დასაჭერათ. დღევანდელ პირობებში ასეთი საქმის ჩამდენი სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, რომ ერთხელ და სამუდამოთ იგრძნონ დანარჩენებმაც პასუხისმგებლობა, თორემ გაირყვნა ქვეყანა...

ამ დღეს დაუტუსაღებიათ აგრეთვე ჯავის ყოფილი კომისარი ცნობილი ილა მაისურაძე, თუ ისიც არ გაიქცათ. დასასრულ უნდა სიმართლე ითქვას, რომ ცხინვალის რაიონში არ ვარგა ადმინისტრაცია. ისინი ჯამაგირს სამ თვეში თურმე ერთხელ ღებულობენ (ასე გადმოგვცეს თვითონ). ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. ერთათ ერთი კომისარი არის თავის ადგილზე ჩემის აზრით ეს [illegible], მაგრამ რას გახდება ერთი კაცი ისიც გაჭირვებულ მდგომარეობაში ეკონომიური მხრით. ეს მეტად დიდი რაიონია. აქ აუცილებლათ საჭიროა ცალკე საკომისარიატო დაარსდეს. გორამდე ცხინვალიდან არის 30 ვერსი და ცხინვალს იქით 70 ვერ სამივე ყოველ მიმართულებით ყოვლად უვარგისი მთაგორიან ბილიკიანი გზები. აქ, რადგან განსაკუთრებული პირობებია და ეროვნება და მისი ორგანოები ჯერ ეხ არ არიან, ან მეტად სუსტი ყოველ მხრივ. ადმინისტრაცია (კომისარიატის სახით) უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ისე ამ რაიონს გორი ეხლანდელ პირობებში ვერ მოუვლის.

ცხინვალელი.

სართიჭალა. 14 ნოემბერს სოფ. სართიჭალაში ლ. ზუკაკიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა გარე-კახეთის მასწავლებელთა კრება. კრებამ გაუგზავნა რესპუბლიკის თავმჯდომარეს მისალმება დეპეშა.

კრებამ იქონია მსჯელობა გარე-კახეთის მასწავლებელთა კავშირის დაარსების შესახებ და დაადგინა: დაარსდეს გარე-კახეთის მასწავლებელთა კავშირი, რომელშიაც შევლენ შემდეგი სოფლები: საგარეჯო, გიორგიწმინდა, თოხლიაური, მანავი, ნინოწმინდა, აბბულახი, პატარძეული, ჩერთუბანი, სართიჭალა, აზამბური (მალხაზოვკა), ხაშმი, მუღანლო, მუხროვანი და გომბორი. გამგეობაში ერთხმათ არჩეულ იქნენ: ლევან ნადირაძე, გიორგი პირაძე, დარია მაისურაძე, ელ. გოდერძიშვილი, იერემია გულისაშვილი. მათ კანდიდატებათ: ანნა გარსიაშვილი, გაბრიელ ღუნიძე, ლუარსაბ ზუკაკიშვილი და გიორგი ნახუცრიშვილი. მომავალ მასწავლებელთა ყრილობაზე ერთხმათ არჩეულ იქნა დილეგატათ გიორგი პარკაძე მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ დადგენილ იქნა: მასწავლებლები ჯამაგირებით გათანასწორებულ უნდა იქნენ თფილისის დაწესებულებებში მოსამსახურეებთან. სურსათ სანოვაგითაც დაკმაყოფილებულნი ისე, როგორც თფილისის მოსამსახურენი არიან. ჯამაგირები ეძლეოდეთ არა უგვიანეს მომავალი თვის პირველ რიცხვისა; ახლავე ეთხოვოს მთავრობას თემებში (ივრის თემში და სხვა რაიონებში) აკრებილი სადალო ხორბალი დარჩეს ადგილობრივ და გადაეცეს კავშირის გამგეობას მასწავლებელთა დასაკმაყოფილებლად, რომლებიც განიცდიან მწვავე აუტანელ პირობებს უპურობით და დაეთმოს ეს ხორბალი (პური) მათ შეღავათიან ფასებში; ეთხოვოს მაზრის ერობას, რათა სათანადო გავლენა იქონიოს ქვემდებარე თემებზე, რომ ამ უკანასკნელებმა დააკმაყოფილონ ყველა მასწავლებლები შესაფერი ბინებით (თავის მოწყობილობით) ნავთით, შეშით და ლარაჯით. აგრეთვე გადაუდებლათ, დღესვე შეკეთებულ იქნეს როგორც მასწავლებლების ბინები, ისე სასკოლო შენობები ინვენტარით, (პარტებით, დაფით, სანგარიშო სჩოტით და სხვა), რომელთაც ესაჭიროებათ აუცილებლათ შეკეთება და რომლებსაც მოხსენებს კავშირის გამგეობა თფილისის მაზრის ერობას.

კრების თავმჯდომარე ლ. ზუკაკიშვილი, მდივანი გ. ღუნიძე.

ბორჯომი. „ერთობის" მე 245 ნომერში მე ვსწერდი: ბორჯომს ქალაქის გამგეობამ იკისრა მოქალაქეებისათვის პურის მიწოდება. ერთი გირვანქა ადგილობრივი ხორბლის პური 35 მ. ქალაქის გამგეობის ასეთმა მუშაობამ ძალზე დასცა კერძო მოვაჭრენი. ქალაქს აქვს თავისი საკუთარი საყასბო, სადაც ნიხრ დადებით „ეძლევა მოქალაქეთ ხორცი". თითქოს ამის გასაბათილებლად ვიღაცა ელვა „ერთობის" მე-257 ნომერში შემდეგს სწერს: „გაზეთ „ერთობის" № 245 ვ მატრონეიშვილი სწერს, ვითომც ბორჯომის ქალაქის თვითმართველობას ისე ქონდეს საქმე მოწყობილი, რომ პურით და ხორცით უზრუნველყოფილიყვენ ბორჯომის მცხოვრებნი. მაგრამ, სამწუხაროთ, ეს სიმართლეს მოკლებულია, პური თუ გამოაცხო ქალაქის თვითმართველობამ თვეში ორჯერ ყიდის გირვანქას 40 მანეთად და არა 35 მანეთად, ხორცს კი 40 მანეთად. ვინ სარგებლობს ამით? ცხადზედ უცხადესია ყველაზე მეტს ქალაქის მცხოვრებლები".

„ელვას" ეს სიტყვები წარმოადგენს სიცრუეს და ჭორს, ამიტომ ვაქვეყნებ შემდეგს:

1) ბორჯომის ქალაქის გამგეობამ მართლა მიიღო თავის თავზე პურის და ხორცის მიწოდება მოქალაქეებისადმი.

2) ქალაქის ფურნეები მოქმედებენ ა/წ ივნისიდან. პირველად აცხობდნენ 20—30 ფუთ პურს დღეში და ყიდდენ 27 მანეთად, მაშინ კიდევ იყვნენ კერძო მეფურნეები. ივლისიდან პურის გამოცხობის რაოდენობა გადიდდა ორმოცდაათ ფუთამდე და გირვანქა ფასობდა 30 მანეთად. აგვისტოდან პურის ფასი ავიდა გირვანქა 35 მანეთამდე რაოდენობა 70 ფუთამდე, ოქტომბერში, როცა მე დავწერე ის წერილი პური ფასობდა გირვანქა 35 მანეთს, შემდეგ ის გახდა 40 მანეთი და კერძო მეფურნეებიც გაქრენ ბაზრიდან.

3) არ ყოფილა ბორჯომში არც ერთი დღე რომ პური და ხორცი არ ქონოდეს ქალაქის გამგეობას ზოგი ერთ საპატიო დროს გამოშვებით. ერთხელ დაახლოვებით სამ დღეს იყო შეჩერებული ხორცის მიწოდება. (საყასბო იყო დახურული ანგარიშების გამო სამ დღეს).

4) ბორჯომის ქალაქის გამგეობა ყიდდა ხორცს და პურს ყოველთვის იმ ფასად და ხანდისხან უფრო იაფად რა ფასიც იყო ამ სანოვაგეზე, საიდანაც მათ ეზიდებოდნენ.

5) ქალაქის დუქნიდან პური და ხორცი ეძლეოდა და ეძლევა ყველას განურჩევლათ პროფესიისა მუშას და არა მუშასაც.

6) ჩარხის წყალზე და საერთოთ ბორჯომის მამულების მუშა მოსამსახურენი არიან ჩაწერილი მუშათა მაგიდაში და იქიდან სარგებლობენ შეძლების დაგვარათ ულუფით, მაგრამ მიუხედავათ ამისა ერთ დროს აქაც იყო გახსნილი ქალაქის საყასბო, მაგრამ ზოგი არამკითხე პირთა წყალობით ეს საქმე დროებით შეჩერებულ იქნა.

7) „ელვა" განზრახ უმალავს მკითხველ საზოგადოებას სიმართლეს ბორჯომის ქალაქის გამგეობის შესახებ და ამით ის სთესავს ჭორს.

8) „ელვა" სწერს, ქალაქის დუქნებით სარგებლობენ მოქალაქენი და არა მუშებიო. და ამით ის ერთი მხრივ უპირდაპირებს მუშებს და მოქალაქეებს ერთმანეთს თითქოს მუშები მოქალაქენი არ იყვნენ, და მეორე მხრივ მუშებს ამხედრებს ქალაქის გამგეობის წინააღმდეგ, რაც თავის თავად მიუღებელი და დაუშვებელია.

ვ. მატრონეიშვილი.

წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის № 265 ში მოთავსებულ მოქალაქე ელ. გამსახურდიას „წერილს რედაქციის მიმართ"-ის გამო მოათავსოთ შემდეგი განმარტება:

მოქალაქე გამსახურდია დაპატიმრებული იყო სად. ცვალაში პირადი ჩემი განკარგულებით, ვინაიდან მან დაარღვია იმ ჟამად არსებულ სამხედრო წრეების მიერ გამოწვეული სავალდებულო დადგენილების I § ი მე-5 ე მუხლი, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მატარებლის მსვლელობის დროს მოქალაქე გამსახურდია ვაგონის საფეხურს ჩამოჰკიდებოდა ცალი ხელით და ამ რიგად მოგზაურობდა

თფილისის რაიონის რკ. გზის მილიციის უფროსი **მაჩაშენიძე.**

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ დაუთმოთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთ „ერთობაში" შემდეგ წერილს: გაზეთ „სახალხო საქმის" მე-980-ე ნომერში მოთავსებულია წერილი შალვა ზაზსნევის მიერ, თითქო ჯავშნიან მატარებლების უფროსს ამხ. ვ. გოგვაძეს მიემართოს ბუხგალტერიის მოხელის ტაბლიაშვილისათვის უდიერით სამსახურის ასრულების დროს და დამუქრებოდეს მას. საქმე შემდეგში იყო: 4 ნოემბერს, დაახლოვებით 11 საათზე მე ვიყავი ბუხგალტერიაში, ამ დროს შემოდის ამხ. ვალოდია გოგუაძე და მომმართავს შემდეგი სიტყვით: „ამხანაგო ჯავახია—მითხარით რა ადგილას მსახურობს მოქალაქე ტაბლიაშვილი". ამ სიტყვით მივუახლოვდით ორივე ტაბლიაშვილს. ამხ. ვალოდია გოგუაძემ თავაზიან სიტყვით მიმართა: „თქვენ ბრძანდებით ბ. ტაბლიაშვილი? თქვენ „ჩემი ოჯახობისათვის შეურაცხყოფა მიგიყენებიათ რკინის გზის სასურსათო მაღაზიაში", თქვენ ახლა სამსახურს ნუ შეწყვეტთ, ამის დრო არ არის, მხოლოდ სამსახურის შემდეგ მოვილაპარაკოთ რაშია საქმე".

მე, როგორც გვერდში მდგომი, ამ მოლაპარაკების დროს, უნდა განვაცხადო, რომ ამხ გოგვაძის ლაპარაკში და მისდამი ტაბლიაშვილთან მიმართვაში არავითარ მუქარას და უდიერი მოპყრობას ადგილი არ ჰქონია, გარდა იმისა, რომ ამხ. გოგვაძემ ორი სიტყვით დაამთავრა ტაბლიაშვილთან და ჩემთან ერთად გამოვიდა გარეთ სრულიად დაწყნარებული. მოქ. ტაბლიაშვილი დაგვეწია ტალანში (კორიდორში) და ამხ. გოგვაძეს უთხრა: „მე შემიძლია ბოდიში მოვიხადო, მხოლოდ დამნაშავე არა ვარო". ამ სიტყვებზედ ამხ. გოგვაძემ შეკრთა და უთხრა: „ამხანაგო თუ დამნაშავე არ ბრძანდებით ბოდიშიც შეგიძლიათ არ მოიხადოთო". მე ვფიქრობ, რომ შემდეგ იმისა, როდესაც ასე მშვიდობიანათ გამოირკვა ყოველივე შეთანხმება, შალვა ზასნელის წერილს ადგილი არ უნდა ჰქონებოდა, ვინაიდან მას შეუძლია მხოლოდ საქმის გამწვავება იმ დროს, როდესაც თითქმის საქმე დამთავრებულად უნდა ჩაეთვალა მოქალ. ტაბლიაშვილს.

ს. ჯავახია.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

ქ. ზ. ფართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე. რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (23—დეკ.)

ექიმი

რეზო მაჩაბელი

კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დილის. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 12—დეკ.

ექიმი

ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 12-დეკ

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილ 12—2 ს. საღამოს 4—6 ს. ოლღას ქუჩა № 35. (18—დეკ)

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ექიმი **მ. ა. [illegible]**

სპეციალურად სიფილისი [illegible] დები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—6 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქ. № 33. 21 დეკ.)

ექიმი

გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლავების და სხ. ავათმყოფობის მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 14—21. ბებუთოვის ქ. № 38. (26 ნოემბ.)

სპეციალისტი მასწავლებლები

ამზადებენ ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისთვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს. (3108—1—1)

კბილის ექიმი

ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიმშაძისა

ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანატასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

ექიმი

ი. ა. ტერ-ავაკუმოვი

გადავიდა კირკის ქუჩაზე № 49, მიხეილის პრ № 28. ვორონცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული (მწვავე და ხრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. „606" და 914" შეშხაპუნება. მიღება დილის 11—12 საათ. საღამოს 6—8. ქალების საღამოს 5—8 საათ. (13 დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების

საავათმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

გოკერიასი

(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის 10½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

ექიმი

ნიკოლოზ მახვილაძე

განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 14, ზემელის აფთიაქის მახლობლად. ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.)

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნდისკოპია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5 სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—11 ნახ. ს საღ. 5—7 საათამდე. 13—დეკ.

დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ქლექი და გულისა. იღებს ახალ რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 11 დეკ.

დოქტორი მედიცინისა

ვ. პ. მოსეშვილი

დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღსთან ქაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

ექიმი

შ. ი. ოყროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 23, [illegible]

საკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

მიხეილ გედევანიშვილისა

დილისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყურდანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—დეკ.)

ექიმი

ა. ი. ქალანდაძე

ღებულობს შინაგანი ავათმყოფებს დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (შშ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1—დეკ.)

საკუთარი სტამბა ერთობის ქუჩა № 4